ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ახალი და უახლესი ისტორია**

ბედოშვილი ლია

აშშ-სა და სსრკ-ს ურთიერთობები 1986-1987 წლებში (რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტები)

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფ. **თეიმურაზ პაპასქირი**,

თბილისი
2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რონალდ რეიგანისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის უმაღლესი დონის სამიტებს რეიკიავიკსა და ვაშინგტონში. მისი მიზანია განიხილოს როგორც სამიტების მსვლელობა, ისე მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენები. ნაშრომში დაწერილია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული უშიშროების არქივისა (The George Washington University, The National Security Archive) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც ბოლო დრომდე ხელმისაწვდომი არ ყოფილა საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტები ჯერჯერობით პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. ნაშრომის ფარგლებში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ორმოცდაათზე მეტი წყარო, რომელთა უმრავლესობა ევროპელი და ამერიკელი ისტორიკოსების მიერაც არაა სრულად შესწავლილი. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი უახლესი წყაროების ანალიზი მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აშშ-სა და სსრკ-ს საერთაშორისო ურთიერთობების ბოლო პერიოდის ისტორიის კვლევის საქმეში.

ბოლო პერიოდში გასაჯაროებული საარქივო დოკუმენტების გარდა, ნაშრომში განხილულია საკითხის ირგვლივ არსებული უახლესი კვლევები, რომლებიც ეხება აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს მოცემულ პერიოდში.

წყაროთა ანალიზის საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, რომელთა გაკეთების საშუალება აქამდე არ არსებობდა. ნაშრომი მკაფიო წარმოდგენას ქმნის სამიტის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებათა დეტალებსა და მხარეთა სტრატეგიაზე, ასევე 1986-1987 წლებში გამართული ორი უმაღლესი დონის სამიტის კონკრეტულ შედეგებზე.

Lia Bedoshvili

The US-Soviet Relations in 1986-1987
(Reykjavik and Washington Summit Conferences)

Annotation

The MA Thesis deals with the summit conferences in Reykjavik and Washington between Ronald Reagan, the President of the USA, and Mikhail Gorbachev, the General Secretary of the Communist Party of the Soviet Union. The goal of the work is to examine the negotiations and political events before, during, and after the conferences. The paper is based on these documentary material published by the US Department of State, which where inaccessible beforehand for the scholars interested in these problems.

Reykjavik and Washington Summits never were the object of scholarly research on the full scale previously. We have examined more than 50 sources from the United States Department of State are considered. Most of them were not studied thoroughly even by the American and European scholars. Hence, we believe that the analysis of the latest sources presented in our work is an important novelty in researching the history of the US and USSR's recent history.

Besides the archival documents, which became accessible in the latest years, we have also examined contemporary researches about the relations between the USA and the Soviet Union during the mentioned period.

On the base of sources analysis we have made new conclusions, which were not possible before. Thesis

gives the distinct notion of the course of the summit conferences, the participants' strategies, and the specific results of the meetings in Reykjavik and Washington.

შინაარსი

შესავალი 4

თავი I. აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანისა და საბჭოთა გენერალური მდივნის გორბაჩოვის შეხვედრა რეიკიავიკში, 1986 წლის 9-12 ოქტომბერი 9

§1.1. რეიკიავიკის სამიტის წინა პერიოდი 9

§1.2. რეიკიავიკის სამიტი 16

§1.3. რეიკიავიკის სამიტის შემდგომი პერიოდი 30

თავი II. აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანისა და საბჭოთა გენერალური მდივნის გორბაჩოვის შეხვედრა ვაშინგტონში, 1987 წლის 8-10 დეკემბერი 41

§2.1. ვაშინგტონის სამიტის წინა პერიოდი 41

§2.3. ვაშინგტონის სამიტის შემდგომი პერიოდი 60

დასკვნა 66

გამოყენებული ლიტერატურის სია 70

შესავალი

კვლევის საგანი და ობიექტი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობებში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს განიარაღების საკითხს. მეტად მნიშვნელოვანი როლი აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ითამაშა კარიბის კრიზისმა, როდესაც აშშ-ის ხელისუფლების მტკიცე პოზიციის შედეგად, აღკვეთილ იქნა საბჭოთა კავშირის აგრესიული ზრახვები განთავსებულიყო საბჭოთა რაკეტები კუბის ტერიტორიაზე. ამის საპასუხოდ, აშშ-მ 1962 წლის ოქტომბრიდან მოახდინა კუბის ბლოკადა, როდესაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩაატარეს ფართო მანევრები კუბის ტერიტორიული წყლების სიახლოვეს. აშშ-ის პოზიციამ აიძულა საბჭოთა კავშირი, რათა ამ უკანასკნელს ხელი აეღო თავის აგრესიულ ზრახვებზე და გაეტანა რაკეტები კუბის ტერიტორიიდან. ამის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო აშშ-ისთან და მთლიანად დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობებში. 60-ინი წლების მეორე ნახევარში გადაგმულ იქნა გარკვეული ნაბიჯები, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა. პირველ რიგში ეს გახლდათ მზადება მრავალმხრივი შეთანხმების ხელმოწერისათვის, რომელიც ეხებოდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1968 წლის ივლისში. აშშ-საბჭოთა კავშირს შორის გარკვეულწილად ურთიერთობათა შედარებითმა გაუმჯობესებამ აგრეთვე საშუალება მისცა ორივე მხარეს შემუშავებულიყო საერთაშორისო კონვენცია „ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის განთავსების აკრძალვის შესახებ". მრავამხრივი შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წელს.

XX საუკუნის 70-იან წლებს ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. 70-იანი წლების პირველ ნახევარში, აშშ-სსრკ-ის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები განხორციელდა. მსოფლიოში დაძაბულობის შემცირების მიზნით გაიმართა რამდენიმე ორმხრივი შეხვედრა უმაღლეს დონეზე. კერძოდ: აშშ-ის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ვიზიტები საბჭოთა კავშირში 1972 წლის მაისში და 1974 წლის ივნისში. აგრეთვე, საბჭოთა კავშირის კომუ-

ნისტური პარტიის გენერალური მდივნის, ლ. ბრეჟნევის ვიზიტი აშშ-ში 1973 წლის ივნისში და ბრეჟნევისა და ფორდის შეხვედრა ვლადივოსტოკში 1974 წლის ნოემბერში, ასევე ბრეჟნევისა და ჯიმი კარტერის შეხვედრა ვენაში 1979 წელს. 1972 წლის წლის მაისში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ხელი მოეწერა დოკუმენტს „სსრკ-სა და აშშ-ის შორის ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ", რომლებმაც დააფიქსირეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები. 1969 წლიდან დაიწყო სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებები სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მოსკოვში 1972 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ" და აშშ-სსრკ-ის დროებით შეთანხმებას „სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ". 1973 წლის 21 ივნისს ვაშინგტონში ხელი მოეწერა დოკუმენტს „სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემდგომი შემცირების ძირითადი პრინციპების შესახებ". 1973 წელსვე სსრკ-მ და აშშ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ და თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მსოფლიო ოკეანეში კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება და სხვ.

შემდგომ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აღმოსავლეთთან დაძაბულობის შემცირების მიზნით კვლავაც არ იშურებდა თავის ძალისხმევას. ამერიკის ძალისხმევის შედეგად 1979 წლის ივნისში მიმდინარეოდა ოთხმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებათა შედეგად 1979 წლის 18 ივნისს ვენაში ხელმოწერილ იქნა მეორე შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების უფრო ფართო დიაპაზონის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვას" და აფიქსირებდა ორ მხარეს შორის სტრატეგიული ძალების პარიტეტს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ უკვე იმავე წლის დეკემბერში, საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპაციის დაწყების შემდეგ და შემდგომში პოლონეთში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელთან თავისი აგრესიული პოლიტიკის გატარების გამო, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი საბჭოთა რაკეტების განთავსების გამო, აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა აშშ-საბჭოთა კავ-

შირს შორის 1979 წელს დადებული შეთანხმების რატიფიცირებაზე. მეტიც, 1981 წლიდან აშშ-ში არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული აგრესიული საგარეო პოლიტიკის საპასუხოდ რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, 1981-1983 წლებში აშშ-საბჭოთა კავშირს შორის ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომელიც ეხებოდა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირებას, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია საბჭოთა მხარის არაკონტრუქციული პოზიციის გამო.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, როდესაც დასაბამი მიეცა სსრკ-აშშ-ის შორის ურთიერთობების ახალ ეტაპს. 1986-1988 წლებში ორ ქვეყანას შორის იმართებოდა კონსულტაციები რეგიონალურ პრობლემებთან, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირში ახალი თაობის პოლიტიკოსების მოსვლის პარალელურად დაიწყო ახალი ეტაპი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაშიც. გორბაჩოვი და რეიგანი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს უმაღლესი დონის სამიტებზე: ჟენევაში (1985), რეიკიავიკში (1986), ვაშინგტონსა (1987) და მოსკოვში (1988). ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ 1986 წელს რეიკიავიკში და 1987 წელს ვაშინგტონში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრები.

კვლევის მიზანი, შინაარსი და წყაროთმცოდნეობითი ბაზა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეიგანისა და გორბაჩოვის უმაღლესი დონის შეხვედრები რეიკიავიკსა და ვაშინგტონში. მასში ფართოდაა გაშუქებული როგორც სამიტების მსვლელობა, ისე მათი წინა და შემდგომი პერიოდები. ჩვენს მიერ გამოყენებულია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული უშიშროების არქივისა (The George Washington University, The National Security Archive) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები. ისინი ასახავენ როგორც სამიტების უშუალო მსვლელობას, ისე მათ წინ და შემგომ განვითარებულ მოვლენებს. დოკუმენტებს შორისაა რეიგანისა და გორბაჩოვის ოფიცი-

ალური კორესპონდენციები, უშიშროების სამსახურების მასალები, საბჭოთა კავშირის კომუსტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომათა სტენოგრამები, სახელმწიფოების მეთაურთა მრჩევლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და უმაღლესი დონის შეხვედრების მემორანდუმები.

კვლევის მეთოდები. საკითხის კვლევისას მოხდა მისი კომპლექსური შესწავლა ისტორიული მეთოდის შესაბამისად. ისტორიის მეთოდოლოგიის მიერ დადგენილი პროცედურების თანახმად ჩატარდა მასალის კრიტიკული ანალიზი, რის შემდეგაც მოხდა ინფორმაციის სინთეზური გადამუშავება, რამაც საშუალება მოგვცა სწორად გაგვეაზრებინა საკვლევი საკითხი და ისტორიულ-კომპარატივისტული მეთოდის მეშვეობით, გვეჩვენებინა მისი მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში.

საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე. რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტები იმთავითვე მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უშიშროების არქივის მასალები ბოლო დრომდე ხელმისაწვდომი არ იყო. ამის გამო ისინი პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. მართალია, ევროპულ და ამერიკულ ისტორიოგრაფიაში რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტების მიმართ ინტერესი ძალიან დიდია, მაგრამ ისტორიკოსთა დიდ ნაწილს ობიექტური მიზეზის გამო არ გამოუყენებია ჩვენს მიერ ნახსენები დოკუმენტები.

აღნიშნულ სამიტებს მემუარებში სათანადოდ ეხებიან როგორც მისი უშუალო მონაწილენი, ისე იმ პერიოდის სხვა პოლიტიკოსები და დიპლომატები. მათ შორის არიან რონალდ რეიგანი, მიხეილ გორბაჩოვი, ჯორჯ შულცი, ედუარდ შევარდნაძე და სხვა.

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველს შეადგენს რეიკიავიკისა და ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრების ამსახვლელი წყაროების კრიტიკული ანალიზი. იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ აღნიშნული სამიტები ქართულ ისტორიოგრაფიაში არ ყოფილა მეცნიერული კვლევის საგანი და ეს პრობლემა არ ამოუწურავს დასავლურ ისტორიოგრაფიასაც, მიგვაჩნია, რომ ჩვენს ნაშრომში განხილული დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება აშშ-სსრკ-ის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის შესწავლის საქმეში. ნაშრომი დაინტერესებულ მკითხველს შეუქმნის მკაფიო წარმოდგენას ორი უმაღლესი

დონის სამიტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და მათ უშუალო მსვლელობა-ზე.

თავი I. აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანისა და საბჭოთა გენერალური მდივნის გორბაჩოვის შეხვედრა რეიკიავიკში, 1986 წლის 9-12 ოქტომბერი

§1.1. რეიკიავიკის სამიტის წინა პერიოდი

1985 წლის 11 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გენერალური მდივნის თანამდებობაზე ერთხმად აირჩია მიხეილ გორბაჩოვი. ეს მოვლენა გახდა სამომავლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვნი ახალი ეტაპის დასაწყისი. ორივე ქვეყნის ლიდერისათვის ურთიერთობების დალაგება და მოლაპარაკებების დაწყება ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა, სწორედ ამიტომ გორბაჩოვის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე რეიგანმა დაიწყო მასთან საერთო ენის გამონახვა.

პირველი ოფიციალური შეხვედრა პრეზიდენტ რეიგანსა და გენერალურ მდივან გორბაჩოვს შორის შედგა 1985 წლის 19-20 ნოემბერს ჟენევაში. ვინაიდან ეს იყო პირველი შეხვედრა რა თქმა უნდა, ვერ მოხდებოდა ძირეული საკითხების განხილვა და მხარეები შემოიფარგლნენ მხოლოდ ფორმალური საუბრებით. მართალია, აღნიშნულმა სამიტმა ვერ შეძლო მხარეთა შორის არსებული ყველა პრობლემის გადაჭრა, მაგრამ მან ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანას შორის უნდობლობის გადალახვას. დაიწო საუბარები ბირთვული იარაღის შემცირების საკითხთან დაკავშირებით და ამ შეხვედრაზე გაჩნდა იმის იმედი, რომ ოდესმე დადგებოდა დღე, როდესაც მხარეები შეძლებენენ შეთანხმების მიღწევას. აუცილებლად უნდა მომხდარიყო შეტევითი ბირთვული არსენალის 50%-მდე შემცირება. ამ მიმართულებით გადადგუმული პირველი ნაბიჯი იქნებოდა ხმელეთზე განლაგებული საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვული რაკეტების განადგურება, რაც მომავალში ბიძგს მისცემდა მსგავსი სახის სხვა შეიარაღების განადგურებასაც. მიუხედავად იმისა, რომ სამიტის ფარგლებში ფუნდამენტურ დოკუმენტზე ხელმოწერა ვერ მოხერხდა და მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ, ჟენევაში გამართული უმაღ-

ლესი დონის მოლაპარაკებების მნიშვნელობა ორივე მათგანისათვის უდავო იყო. რამდენად წარმატებულად შეიძლება შეფასდეს ჟენევის სამიტი, ამის შესახებ საუბარი დაბეჯითებით ძნელია. თუმცა მართებული არ იქნებოდა მისი უარყოფითად შეფასება, რადგან 1979 წლის შემდეგ ეს იყო მსოფლიოს ორ უძლიერეს სახელმწიფოს ლიდერთა პირველი შეხვედრა. ცივი ომის ბოლო ათწლეულში ჟენევის სამიტი იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი როგორც ორი ქვეყნის ურთიერთიერთობის გამოსწორების გზაზე, ისე მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად. მართალია, ჟენევის სამტი 1985 წლის ოქტომბერში რეიგანმა და გორბაჩოვმა დატოვეს ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულების გარეშე, მაგრამ ორივე მხარე შეთანხმდა შეტევითი იარაღის შემცირების მნიშვნელობაზე, თუმცა რეიგანის შეთავაზებული სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI) მოლაპარაკებებში აღმოჩნდა გადაულახავი პრობლემა. ჟენევის სამიტმა გამოკვეთა, რომ მხარებს გააჩნდათ საერთო ინტერესები, რამაც თავისთავად გააჩინა იმედი, რომ უახლოეს მომავალში მხარეები მოახერხებდნენ შეთანხმების მიღწევას სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე.

ნოემბერში, დაახლოებით 1 თვის შემდეგ შეხვედრიდან, რეიგანმა წერილი მისწერა გორბაჩოვს, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სურვილი და მზაობა ბირთვული იარაღის განადგურების თაობაზე. პარალელურად, სანამ წერილი მიაღწევდა გორბაჩოვთან, გენერალურმა მდივანმაც გაუგზავნა პრეზიდენტს წერილი, სადაც სთხოვდა აშშ-ს შეერთებოდა ბირთვული იარაღის ტესტირების მორატორიუმში, რეიგანმა შეთავაზებაზე არ უპასუხა, სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა დარჩა დაბრკოლებად შემდგომი მოლაპარაკებებისასაც.[1]

1986 წლის 14 იანვარს გორბაჩოვმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა რეიგანს. ორი ლიდერის ბოლო მიმოწერა ძირითადად ჟენევის სამიტიდან გამომდინარეობდა. გორბაჩოვმა წარმოადგინა "უპრეცედენტო პროგრამა ბირთვული იარაღის აღმოსაფხვრელად" 2000 წლისთვის.

რეიგანის პროგრამა ბირთვული იარაღის 3 ეტაპად განადგურებას მოიცავდა.

[1] Richard Rhodes. Arsenals of Folly: Nuclear Weapons in the Cold War. New York: Alfred A. Knopf, 2007, გვ. 213.

პირველი ეტაპი ხუთიდან რვა წლამდე პერიოდს მოიცავდა, რომლის განმავლობაშიც იარაღის ამოღება უნდა მომხდარიყო. მეორე ეტაპზე, რომელიც ხუთიდან შვიდ წლამდე გაგრძელდებოდა, უნდა მიეღწიათ ბირთვული ტესტირების შეწყვეტისა და საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შემდგომი ლიკვიდაციისათვის. მესამე და საბოლოო ეტაპზე, ყველა დარჩენილი ბირთვული იარაღი ლიკვიდირებული იქნებოდა, ანუ 1999 წლის ბოლოსთვის აღარ იქნებოდა ბირთვული იარაღი დედამიწაზე. ამერიკული მხარე გორბაჩოვის ამ შეთავაზებას არ დათანხმდა.[2]

ჟენევის სამიტის დასრულების შემდეგ ყველა ელოდა ახალი ეპატის დაწყებას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობებში. ასეთივე მოლოდინი ჰქონდათ თავად მთავრობებსაც. შეიძლება ითქვას, რომ ახალი სამიტისთვის მზადება დაიწყო ჟენევის სამიტის დასრულებისთანავე. 1885 წლის დეკემბერში ორი ქვეყნის ლიდერს შორის აქტიური მიმოწერა მიმდინარეობდა. თავიანთ კორესპონდენციებში ისინი განიხილავდნენ აქტუალურ საკითხებს, რომელზეც ჟენევაში შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. კვლავ ვერ ხერხდებოდა შეთანხმება კოსმოსური იარაღის საკითხეზე. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარის პოზიცია ეყრდნობოდა შესაძლებლობას, რომ მათი გამოყენება შეიძლებოდა, როგორც თავდაცვისთვის ისე შეტევისთვის. 1986 წლის იანვარში, რამდენიმე დღის ინტერვალით, გორბაჩოვმა ორი წერილი გაგზავნა რეიგანთან. მისი მეორე წერილი შეიცავდა საინტერესო სიახლეებს. განსაკუთრების მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა მხარის სურვილი მომხდარიყო ევროპის ტერიტორიიდან საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე ბირთვული არსენალის სრული გატანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო გორბაჩოვის ორიგინალური იდეა. აღნიშნული „ნულოვანი“ წინადადებით რეიგანი გამოდიოდა ჯერ კიდევ 1982 წელს. ახლა კი საბჭოთა მხარე ცდილობდა ამ ინიციატივის მითვისებას. ყველაფრის მიუხედავად, მნიშვნელოვანი იყო თავად ფაქტი და ის პერსპექტივა, რომ სსრკ განიხილავდა ასეთ შესაძლებლობას და სამომავლოდ არსებობდა შანსი ევროპა სრულად გათავისუფლებულიყო საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტებისაგან. გორბაჩოვი ასევე აყენებდა ბირთვული შეიარაღების გა-

[2] Richard Rhodes. Arsenals of Folly, გვ. 216.

მოცდებზე მორატორიუმის გამოცხადების საკითხსაც და 1999 წლამდე ყოველგვარი ბირთვული შეიარაღების განადგურების შესაძლებლობას. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ უარს იტყოდა სტრატეგიული თავდაცვის იდეაზე. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ არა ერთმანეთის დარწმუნების, არამედ შესაძლებლობათა რეალური გაანალიზების გზით. რეიგანის აზრით, შეიარაღების კონტროლის საკითხში პროგრესის მისაღწევად საჭირო იყო ეფექტური მექანიზმების შექმნა და მთავარ საკითხზე კონსენსუსის მიღწევამდე აუცილებელი იყო შეთანხმება რეგიონალური საკითხებისა და ადამიანის უფლებების პრობლემებზე.

1986 წლის მარტში აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე თომას ფილიპ ონილი და მისი მომხრეები გამოვიდნენ წინადადებით, ამერიკული მხარე დათანხმებოდა გორბაჩოვის ინიციატივას ბირთვული გამოცდების შეწყვეტაზე. პრეზიდენტმა ეს წინანდადება არ მოიწონა და ამერიკლებმა ბირთვული გამოცდები გააგრძელეს. მნიშვნელოვანი საკითხი იყო ასევე სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულების აღდგენა. რეიგანის გარემოცვაში ამ თემის ირგვლივ ერთინი პოზიცია არ არსებობდა. ერთ მხარეს იდგა ჯორჯ შულცი, რომელიც მიიჩნევდა, რომ აშშ – სსრკ ურთიერთობების ნორმალიზაციის ფონზე ამ დოკუმენტის ხელმოწერა აუცილებელი იყო, ხოლო მეორე მხარეს წარმოადგენდა ვეინბერგერი, რომელიც მკაცრად ოპონირებდა შულცს. რეიგანის აზრით, ამ დოკუმენტის აღდგენას ჰქონდა გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა სერიოზული ნაპრალები, რომლებიც ძალთა ბალანსს ხრიდა საბჭოელთა მხარეზე. [3]

გორბაჩოვი უკმაყოფილიყო იყო რეიგანის პოზიციით ბირთვული ცდების საკითხთან დაკავშირებით, ასევე იმ პოზიციის გამო, რაც მან სტრატეგიული შეიარაღების შემცირების გარშემო დააფიქსირა.

ბირთვული საკითხის ირგვლივ სიტუაცია თანდათან დრამატულ იერს იღებდა. 1986 წლის 26 აპრილს უკრაინაში, ქალაქ ჩერნობილში მეთხე ბირთვულმა რეაქტორმა კატასტროფა განიცადა. ჩერნობილის ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახა

[3] Ronald Reagan. An American Life. New York, Simon and Schuster, 1990, გვ. 642-664.

ბირთვული საფრთხის რეალური სახე. მაღალი რადიაციული ფონი, ნგრევა და მსხვერ-პლი, ეს იყო ჩერნობილის აფეთქების შედეგი. რეაქტორის დაკონსერვებისა და ბეტონის სარკოფაგში მოქცევის მიუხედავად მისგან მომავალი საფრთხე დღემდე არაა სრულად განეიტრალებული. ქალაქი ჩერნობილი დახურულ ზონად გამოცხადდა. ჩერნობილის ტრაგედიამ რეალურად წამოაჩინა საერთო ბირთვული საფრთხე. შანსი, რომ გორბაჩოვის ანტიბირთვული განწყობა მეტად სერიოზული იქნებოდა, ჩერნობილის შემდეგ რეალობად იქცა.[4]

1986 წლის 15 სექტემბერს გორბაჩოვმა წერილი მისწერა რეიგანს, რომელშიც საბჭოთა ლიდერი აღნიშნავდა, რომ რჩებოდა შთაბეჭდილობა, თითქოს ძალით ხდებოდა მიზეზების გამოგონება საბჭოთა კავშირ-შეერთებული შტატების ურთიერთობა გასაუარესებლად. გორბაჩოვის წერილში ყურადღება მახვილდებოდა ძირეული საკითხების ირგვლივ პოზიციათა დაშორების ფაქტზე. ის მკაცრად აფასებდა ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკას. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, გორბაჩოვი ბრალს სდებდა რეიგანსა და მის ადმინისტრაციას, რომ ისინი ხელოვნურად უშლიდნენ ხელს კონსენსუსის მიღწევას. საუბარი შეეხებოდა როგორც საშუალო სიშორის მოქმედების რადიუსის მქონე ბირთვულ რაკეტებს, ისე ევროპაში განთავსებულ საბჭოთა და ამერიკულ ბირთვულ შეაირაღებას. მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება შენარჩუნებული იყო რეიგანის კოსმოსური პროგრამის მიმართაც. ორი ქვეყნის ურთიერთობებში მართლაც ბევრი პრობლემა იყო დაგროვილი, ამიტომ გორბაჩოვი სთავაზობდა რეიგანს, უახლოეს მომავალაში გამართული მათი პირისპირ შეხვედრა ლონდონში ან ისლანდიაში, თუნდაც მხოლოდ ერთი დღით, კონფიდენციალური, დახურული და გულწრფელი მოლაპარაკებებისთვის, რომელსაც შესაძლოა დასწრებოდნენ მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრები. შეხვედრაზე შესაძლებელი იყო შემუშავებულიყო შეთანხმების პროექტი კონკრეტულ ორ-სამ საკითხზე, რომელზეც ხელმოწერა შეერ-

[4] Anatoly Chernyaev. My Six Years with Gorbachev. University Park, The Pennsylvania State University Press, გვ. 66-67.

თებულ შტატებში მისი ვიზიტის დროს მოხდებოდა.[5] საბჭოთა კავშირში არსებობდა ურთიერთობათა გამოსწორების სურვილი და სწორედ ეს რეალობა აუცილებელს ხდიდა ლიდერთა პირისპირ შეხვედრას. ამავე დროს საყურადღებოა, რომ გორბაჩოვისთვის ვაშინგტონში ვიზიტის საკითხი არ იყო დახურული თემა. ვაშინგტონში ვიზიტამდე კი შეხვედრის ერთ-ერთ შესაძლო ადგილად გორბაჩოვი განიხილავდა ისლანდიას. ისლანდიაში, კერძოდ მის დედაქალაქ რეიკიავიკში, შეხვედრის იდეა გორბაჩოვს გაუჩნდა. რეიკიავიკზე არჩევანი შეჩერდა მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ეს ქალაქი მდებარეობდა პრაქტიკულად მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის შუა გზაზე.[6]

გორბაჩოვის მოლოდინი შეხვედრის წინ რეალისტური იყო. 29 სექტემბერს ასისტენტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ არსებობდა უამრავი საკითხი, რომელთა შუა გზაზე მიტოვება არ შეიძლებოდა. ამავე დროს, როდესაც საბჭოთა მხარე ცდილობდა დაერწმუნებინა შეერთებული შტატები თავისი პოზიციების სისწორეში, მათაც მოუწევდათ ამერიკელთა წინადადებების მიღება. სწორედ ამიტომ არც ერთ საკითხთან დაკავშირებით საბჭოელებს 100 პროცენტიანი მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ.[7]

1986 წლის 4 და 8 ოქტომბერს გაიმართა პოლიტბიუროს სხდომები სსრკ-ში, რომელთა მიზანი იყო რეიკიავიკის სამიტისთვის მომზადება. გორბაჩოვი დელეგაციის წევრებთან ათანხმებდა სამოქმედო გეგმასა და საბჭოთა წინადადებების საბოლოო დეტალებს. მისი აზრით, შეხვედრაზე საბჭოთა მხარეს პირველ ადგილზე უნდა დაეყენებინა სტრატეგიული შეიარაღება და არა ბირთვული იარაღის გამოცდა. გორბაჩოვი რჩებოდა იმ პოზიციაზე, რომ უნდა განადგურებულიყო ყველა სახის ბირთვული შეიარაღების 50% და ევროპის ტერიტორია სრულად განიარაღებულიყო საშუალო რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტებისაგან. გარდა ამისა, საუბარი არ უნდა შეხებოდა ფრანგულ და ბრიტანულ ბირთვულ არსენალს. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს საკმაოდ ოპტიმისტური შეხედულება ჰქონდა, მას მიაჩნდა, რომ

---

[5] Письмо М. С. Горбачева Рональду У. Рейгану. 15 Сентября, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document01.pdf.

[6] Anatoly Chernyaev. My Six Years with Gorbachev, გვ. 78

[7] Anatoly Chernyaev's Notes. Gorbachev Conversations with Assistants. September 29, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document03.pdf.

აშშ-ს მხარე დათანხმდებოდა ანტიბალიტიკური რაკეტების შესახებ შეთანხმებას (ABM treaty), ბირთვული ტრიადისა (რაკეტები, ბომბები, წყალქვეშა ნავები)და საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების 50%-მდე შემცირებას.[8]

თავის მხრივ, სამიტისთვის მზადება მიმდინარეობდა შეერთებულ შტატებშიც. სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა პრეზიდენტ რეიგანს 1986 წლის 2 ოქტომბერს გაუგზავნა მემორანდუმი, სადაც რეკომენდაციებს აძლევდა რეიკიავიკში დაგეგმილი მომავალი შეხვედრისათვის. მემორანდუმში ნათლად იყო ჩამოყალიბებული ამერიკული მხარის სტრატეგიული ხედვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ორ საკითხს: შეიარაღების კონტროლსა და ადამიანის უფლებებს. შულცის აზრით, ამ საკითხებზე პროგრესის მიღწევის გარეშე სამიტი დადებითად ვერ შეფასდებოდა. მისი მემორანდუმიდან ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ამერიკული მხარე სამიტისგან არ მოელოდა რაიმე რეალური შეთანხმების მიღწევას, აშშ-ს ერთ-ერთი მიზანი იყო პროგრესის გაღრმავება ყოველგვარი წინასწარი დაპირებების გარეშე.[9]

საბჭოთა კავშირის სავარაუდო მოქმედების სტრატეგია და ამერიკული გეგმები განხილულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ კიდევ ერთ დოკუმენტში. დოკუმენტი ეხება ქიმიურ, ბირთვულ შეიარაღებას, რეგიონალურ და ადამიანის უფლებათა შესახებ საკითხებს. ჩანს, რომ ამერიკელებისათვის მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირთან საერთო ენის გამონახვა, ნებისმიერ საკითხზე სიჯიუტის გამოჩენა მიაჩნდათ დაუშვებლად და არ გამორიცხავდნენ დათმობებზე წასვალსაც, თუმცა არსებობდა საკითხები, რომელზედაც პრინციპული პოზიცია გააჩნდათ და უკან დახევას არ აპირებდნენ.[10] რეიკიავიკის სამიტს ამერიკელთათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იმედოვნებდნენ ეს იქნებოდა მსოფლიოს ორ წამყვან სახელმწიფოს შორის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების დასაწყისი, რაც საბოლოოდ, მიიყ-

[8] USSR CC CPSU Politburo session on preparations for Reykjavik, 8 October 1986, 6 pp. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203; https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB203/index.htm.

[9] Memorandum to the President, Secretary of State George Shultz, "Subject: Reykjavik," 2 October 1986, გვ. 4. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203; https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB203/index.htm.

[10] "The President's Trip to Reykjavik, Iceland, October 9-12, 1986 – Issues Checklist for the Secretary," U.S. Department of State, 7 October 1986, გვ. 23 pp. National Security Archive Electronic Briefing Book.

ვანდათ განიარაღების საკითხზე შეთანხმების მიღწევამდე და მსოფლიოში მშვიდობიანი გარემოს შექმნამდე.

§1.2. რეიკიავიკის სამიტი

აშშ-ს პრეზიდენტი რეიგანი 1986 წლის 9-12 ოქტომბერს იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში. მან ქვეყნის ტერიტორია დატოვა 9 ოქტომბერს დილით 9:45 წუთზე და რეიკიავიკის აეროპორტში ჩავიდა საღამოს 7:05 წუთზე, სადაც შეხვდა ისლანდიის მთავრობის ოფიციალურ პირებს, რის შემდეგაც გადაინაცვლა აშშ-ს საელჩოში, სადაც იმყოფებოდა ისლანდიაში ვიზიტის განმავლობაში. აშშ-ს წარმომადგენლობა დაბინავდა ქალაქის ცენტრში მდებარე სკოლის შენობაში, სკოლასთან მისულ გუნდს დახვდა კარზე მიმაგრებული წარწერა „IEOB" (Iceland Exclusive office Building). კოორდინაციის კომიტეტი გაიხსნა სკოლის შენობის ბოლო სართულზე, საიდანაც ხდებოდა მომავალი შეხვედრების დაგეგმვა/ორგანიზება. საორგანიზაციო გუნდს დაევალა მოემზადებინა მასალები პრეზიდენტ რეიგანისა და პრეზიდენტ ფინბოგადოტირის შეხვედრისათვის, რომელიც პარასკევს უნდა შემდგარიყო. სტაფი ასევე მონიტორინგს უწევდა მიეღწიათ თანხმობისათვის აშშ-ს კონგრესთან, რათა გაგრძელებულიყო რეზოლუცია.

10 ოქტომბერს პარასკევს დილით ადრე პრეზიდენტი პირადად შეხვდა მრჩევლებს ასევე 10:00 წუთზე დილით მინისტრი შულცი შეხვდა აშშ-ს გუნდს ელჩ რიუვეს ოფისში აშშ-ს საელჩოში, ამ შეხვედრების მთავარი მიზანი იყო შემუშავებულიყო ერთიანი გეგმა, რომლითაც უნდა ემოქმედა აშშ-ს წარმომადგენლობას.

1986 წლის 11 ოქტომბერს დილის 10:30 წუთზე გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ ქალაქში, ხანმოკლე ფოტოსესიის შემდეგ ორი ლიდერის შეხვედრა შედგა პირდაპირ დახურულ სესიაზე, მარჯვენა კუთხეში, პატარა ოთახში, სახლის პირველ სართულზე. აშშ-ს დელეგაცია განთავსდა სახლის მარცხენა მხარეს მეორე სართულზე, ხოლო საბჭოთა კავშირის დელეგაცია კი მარჯვენა მხარეს. ორივე მხარესათვის საზიარო იყო დიდი შეხვედრების ოთახი სახლის ცენტრში, სადაც წარმომად-

გენლებს შეეძლოთ გაემართათ არაოფიციალური საუბრები და დაესვათ ერთმანეთისათვის კითხვები. პირველი ბრიფინგი და დისკუსია გაიმართა 11:30 წუთზე, რომელზეც განისაზღვრა შეხვედრის ძირითადი საკითხები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საშუალო რადიუსის მქონე ბირთვული შეიარაღება, ანტიბალისტიკური შეთანხმება, თავდაცვითი კოსმოსური იარაღი, ბირთვული ცდები და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხი. ასევე ჟენევის სამიტის დროს განხილული ინიციატივა სტრატეგიული შეიარაღების 50%-ით შემცირების შესახებ. რეიგანი იმედოვნებდა, რომ განიხილავდნენ ასევე რეგიონულ და ადამიანის უფლებათა საკითხებსაც, თუმცა საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ ეს საკითხები სხვა შეხვედრებისას იქნებოდა განხილული. სამიტისათვის მოსამზადებელი სესია შედგა მრგვალ მაგიდასთან სასადილო ოთახში, რომელსაც ესწრებოდნენ: პრეზიდენტი რეიგანი, მინისტრი შულცი, ადმირალი პოინდექსტერი, თეთრი სახლის პრესმდივანი სპიკესი, ელჩები: ჰარტმანი, რიდვეი, მეთლოქი ნითსი და სხვა. ერთი საათის განხილვის შემდეგ ჯგუფმა შესვენება აიღო დისკუსია გაგრძელდა ლანჩზე, განხილვის თემა იყო საშუალო რადიუსის ბირთვული შეიარაღების შემცირება ევროპაში. სადილის შემდეგ სესიას შეუერთდნენ მინისტრის მოადგილე რიჩარდ ჰერლი და ელჩი მაქს კამპელმანი.

დილის სესიის მიმდინარეობისას გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა წამოაყენა სამი წინადადება უცხოელი მინისტრებისათვის , რომ მომზადებულიყო შეთანხმება ბირთვული განიარაღების თაობაზე. 1. ლიდერებს უნდა მიეცათ მითითებები მათი უცხოელი მინისტრებისათვის, შეემუშავებინათ შეთანხმების გეგმა, რათა 50%-ამდე შემცირებულიყო სტრატეგიული შეტევითი იარაღი ორივე მხრიდან, მისი აზრით, ორივე მხარეს უნდა გაენახევრებინა შეიარაღება მძიმე ბალისტიკური რაკეტების ჩათვლით. 2. გორბაჩოვი სთავაზობდა აშშ-ს , რომ ორივე მხარეს სრულად მოეხდინათ ბალისტიკური რაკეტების ლიკვიდაცია, თუმცა მასზე გავლენას არ იქონიებდა და გათვალისწინებული არ იქნებოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვული პოტენციალი. გორბაჩოვმა ასევე აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები შეეხებოდა მოკლე და საშუალო რადიუსის ბალისტიკურ რაკეტებს, რომელთა მოქმედების რადიუსი 1000 კილომეტრს არ სცილდებოდა. მან მიანიშნა პრეზიდენტ რეიგანს, რომ ეს საკითხი დარჩებოდა უცვლე-

ლი და განხილვას არ დაექვემდებარებოდა, ასე რომ შემდეგი მოლაპარაკებებისას ფოკუსირება მოეხდინა მათ შემცირებაზე. გორბაჩოვმა ასევე წამოაყენა იდეა მოლაპარაკებები გამართულიყო საშუალო რადიუსის სისტემის თაობაზეც აზიაში, როგორც კი შესაძლებელი იქნებოდა, რაზეც საპასუხოდ რეიგანმა აბსოლიტურად ნათლად გააცნო მოკავშირეთა მოთხოვნები საბჭოთა „SS-20S"-ის შემცირებაზე აზიაში. გორბაჩოვმა მიანიშნა, რომ არ წავიდოდა ისეთ შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც აზიაში ექნებოდა 500-ზე ნაკლები საბჭოთა გრძელი რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტების ქობინი, სამაგიეროდ მან შესთავაზა მოეხდინათ ევროპაში გრძელი რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტების ლიკვიდაცია, ხოლო აზიის საკითხი განეხილათ შემდეგი მოლაპარაკებებისას. 3. ABM Treaty (Anti-Ballistic Missile Systems)- ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მიზანი უნდა ყოფილიყო გაეძლიერებინა „1972 წლის ანტიბალისტიკური რაკეტების სისტემის შესახებ მიღებული ხელშეკრულება". მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ, რომ ხელშეკრულებას 10 წლის განმავლობაში არ დაარღვევდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა ინიციატივით უნდა აკრძალულიყო ყველა სარაკეტო ელემენტის ტესტირება ღია სივრცეში, გარდა ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევისა და ტესტირებისა. ასევე გორბაჩოვმა თქვა, რომ 10 წლის შემდეგ მხარეები ამ საკითხზე თავიდან მიმართავდნენ მოლაპარაკებებს და შეთანხმდებოდნენ შემდეგი მოქმედების გეგმაზე. რაც შეეხება ბირთვულ ტესტირებას საბჭოთა მხარე მოუწოდებდა აშშ-ს შეეჯამებინათ ბირთვული ტესტირების სრული შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამ მოლაპარაკებებისას საბჭოთა მოსაზრებები აფერხებდნენ 1974 წლის ბარიერის დაბლოკვის ხელშეკრულებას (Threshold Test Ban Treaty) და 1976 წლის მშვიდობიანი ბირთვული აფეთქებების ხელშეკრულებას (Pnet).

რეიგანის მოსაზრებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე ბირთვულ შეიარაღებას, ანტიბალისტიკურ შეთანხმებას, თავდაცვით კოსმოსურ იარაღს , ბირთვულ ცდებსა და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხს, გარდა ამისა, რეიგანი იმედოვნებდა მხარეები მოლაპარაკებებისას განიხილავდნენ რეგიონულ და ადამიანის უფლებათა საკითხებსაც, თუმცა საბჭოთა ლიდერმა ამის თაობაზე განაცხადა, რომ ეს საკითხები შემდგომი მოლაპარაკებებისას

სხვა შეხვედრისას განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები ისე სწრაფად არ წარიმართა, როგორც ამას ყველა ისურვებდა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესი გრძელდებოდა. მთავარი იყო ის თუ როგორ მიუდგებოდნენ მხარეების ბირთვული შეთანხმების საკითხს, არსებობდა ძალიან ბევრი ვარიანტი, რომლებიც უნდა განეხილათ და შეედგინათ შეთანხმების მონახაზი, რომელსაც საბოლოოდ ხელი მოეწერებოდა ვაშინგტონში სსრკ-ს გენერალური მდივნის ვიზიტისას. სწორედ ეს იყო რეიკიავიკის სამიტის მიზანი. არსებობდა მთელი რიგი საკითხები, სადაც იყო უთანხმოება. მათ შორის იყო სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ არსებული პოზიციები. ამ საკითხზე შეთანხმება პარიტეტის პრინციპის დაცვის გარეშე არ გამოვიდოდა. აშშ-ს პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებამდე აუცილებელი იყო ეფექტური კონტროლის მექანიზმის შექმნა. ეს პოზიცია მისაღები აღმოჩნდა გორბაჩოვისთვისაც. უმნიშვნელოვანესი იყო მომდევნო სამიტისთვის საერთო კონცეფციის გამოძებნა. საბჭოთა პოზიცია ემყარებოდა გამალებული შეიარაღების პრევენციას, რომლის ბაზაზეც უნდა შედგენილიყო შეთანხმების პროექტი, ხოლო მასზე ხელმოწერა შეერთებულ შტატებში მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებით რეიგანის პოზიცია იყო შუალედური, მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ზოგადი ზღვრის დადგენა არ იყო საკმარისი. საბჭოთა მხარე აცხადებდა, რომ დათანხმდებოდა ჟენევაში მიღწეული შეთანხმების შესრულებას შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ, ნაკლებ ოდენობაზე კი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა. ამავე დროს აღინიშნებოდა, რომ საუბარი შეეხებოდა ისეთ სტრატეგიულ შეიარაღებას, რომელსაც შეეძლო ქვეყნების ტერიტორიამდე მიღწევა და ამ ეტაპზე არ განიხილებოდა საშუალო მოქმედების ბირთვული შეიარაღების საკითხი. გორბაჩოვმა თქვა, რომ ეს იყო მათი მხრიდან, პრინციპული დათმობა და ამერიკელთა პოზიციასთან დაახლოება. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საერთო უსაფრთხოების პრინციპები.

საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვულ შეიარაღებაზე საუბრისას საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ ისინი მზად იყვნენ ევროპის ტერიტორიაზე ნულოვანი კონდინციის მისაღწევად. ევროპა სრულად უნდა გათავისუფლებულიყო როგოც საბჭოთა, ისე ამერიკული რაკეტებისაგან. ამ შემთხვევაში არ განიხილებოდა ფრანგული და ბრიტა-

ნული შეიარაღების საკითხი, ხოლო აზიასთან დაკავშირებით ამერიკული მხარე უნდა წასულიყო კომპრომისზე და დაეხურა თემა; ალტერნატიულ შემთხვევაში კი უნდა დათანხმებოდა აზიაში განთავსებულ საბჭოთა რაკეტებთან დაკავშირებით სეპარატიულ მოლაპრაკებებს. 1000 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე მოქმედ რაკეტებთან დაკავშირებით საბჭოელები მზად იყვენენ, როგორც საკითხის გასაყინად, ისე მასზე მოლაპარაკებების საწარმოებლად. საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვულ შეირაღებასთან დაკავშირებით საბჭოთა პოზიციას გორბაჩოვი უწოდებდა უდიდეს კომპრომისს.[11]

რეიგანს მიაჩნდა, რომ ბირთვული აფეთქებების აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება უნდა ყოფილიყო სტრატეგიული იარაღის შესახებ შეთანხმების შემუშავების პირობა. აუცილებელი იყო ანტიბალისტიკური შეთანხმების საკითხზეც წინ წასვლა. ბირთვული ცდები უნდა განეხორციელებინა ორივე მხარეს მეორეს ზედამხედველობის ქვეშ. თუ ცდები აჩვენებდა რაიმე სიახლეს, ეს მიღწევა გაზიარებული უნდა ყოფილიყო. პირველი შეხვედრა 1 საათსა და 50 წუთს გაგრძელდა და რეიკიავიკის დროით 12:30 წუთზე დასრულდა.[12] რის შემდეგაც ორივე ლიდერი თავის მრჩევლებთან ერთად დაბრუნდა "Hofdi house"-ში თავიანთ შტაბში ლანჩზე. აშშ-ს შეიარაღების კონტროლის ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო საბჭოთა პოზიციების შესწავლა. დაახლოებით 2 საათზე ექსპერტთა ჯგუფი შეუერთდა პრეზიდენტს და მის მრჩევლებს სასადილო ოთახში რათა გაემართათ საბოლოო დისკუსია საღამოს დაგეგმილ შეხვედრამდე. პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება, რომ ჩატარებულიყო ორი სამუშაო სესიის სერია 1. ადამიანის უფლებების და 2. იარაღის კონტროლის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო გეგმის შემუშავება. საღამოს პრეზიდენტს ჰქონდა ფორმალური მიღება ისლანდიის მთავრობასთან, რეიგანი შეხვდა ფინბოგადოტირს და ისლანდიის სხვა ოფიციალურ პირებს. საღამოს 7 საათზე თეთრი სახლის პრესმდივანმა სპიკესმა გამოაქვეყნა განცხადება აშშ-ს ბირთვული პოლიტიკის შესახებ, ეს განცხადება იყო აქტიური მუშაობის პირ-

[11] Office of the historian; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d1.

[12] Memorandum of Conversation. Reagan-Gorbachev Meeting in Reykjavik. First Meeting. October 11, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document09.pdf.

დაპირი შედეგი ვაშინგტონსა და ისლანდიაში, სადაც პრეზიდენტმა რეიგანმა შესთავაზა გორბაჩოვს შეემცირებინათ ევროპაში ყველა სახის ბირთვული იარაღი და დაესრულებინათ მისი გამოცდა.

პირველივე შეხვედრამ ნათლად აჩვენა, რომ მოლარაკებათა პროცესი მარტივიდად არ წარიმართებოდა. მიუხედავად საბჭოთა პოზიციების გარკვეული ცვლილებისა, არსებული განსხვავებების დაძლევა და კომპრომისამდე მისვლა ნამდვილად არ იყო ადვილი ამოცანა.

რეიკიავიკის სამიტის მეორე შეხვედრა 11 ოქტომბერს 15:30-ზე გაიხნა პრეზიდენტ რეიგანის ხანგრძლივი პრეზენტაციით. ის მიესალმებოდა გორბაჩოვის მიერ ინიცირებული იდეების ნაწილს, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა კვლავ რჩებოდა.

ამერიკელთა მიზანი იყო რეალური ნაბიჯების გადადგმა. ბალისტიკური შეიარაღება უნდა შემცირებულიყო 50 პროცენტამდე და მათი რიცხვი 4500 უნდა ყოფილიყო. საბჭოთა მხარის მიდგომა კი გაცილებით მეტი შეიარაღების დატოვებას ითვალისწინებდა, კერძოდ, 6400-6800 ერთეულამდე. საუბარი შეეხებოდა ასევე ამერიკული ფლოტის შეიარაღებაში არსებულ რაკეტებსაც, რომლებიც ბომდამშენებს გადაჰქონდათ. აშშ-ს პრეზიდენტი არ აპირებდა ამერიკული ავიაციის სხვა სახის რაკეტების რიცხვის შემცირებას, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ სწრაფი მოქმედების ძალა და ადვილი სამიზნე იყო საბჭოთა ჰაესაწინააღმდეგო თავდაცვისათვის. ფლოტის შეიარაღებაში არსებული საჰაერო რაკეტები კი 6000 ერთეულამდე უნდა შემცირებულიყო. საკონტენენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და წყალქვეშა ფლოტის არსენალის ბალისტიკური რაკეტების რიცხვის მაქსიმალური ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 1600 ერთეულით. მთავარი პრობლემას წარმოადგენდა ევროპის ტერიტორიაზე განთავსებული ამერიკული და საბჭოური რაკეტები. რეიკიავიკის სამიტზე საბჭოთა მხარე გამოვიდა ინიციატივით სრულად გათავისუფლებულიყო ევროპა ორივე ქვეყნის რაკეტებისაგან. ამავე დროს კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა აზიაში არსებული საბჭოთა რაკეტების საკითხი. ნულოვანი შეთანხმების მიღწევის შემთხვავაში საბჭოთა მხარე მზადყოფნას გამოთქვამდა აზიურ რაკეტებზე მოლაპრაკებები გამართულიყო, მაგრამ რეიგანისათვის ეს არ იყო საკმარისი. ის მტკიცედ იცავდა პოზიციას, რომ უნდა მომხდარიყო საკითხის გლობალურად

განხილვა: ან სრული განიარაღება ორივე კონტინენტზე, ან ორივეზე გარკვეული ოდენობის შეიარაღების დატოვება. რეიგანის პოზიცია გასაგებიც იყო, ვინაიდან აზიაში საბჭოელები ფლობდნენ დიდი უპირატესობას, მხოლოდ ევროპულ რაკეტებზე ნულოვანი შეთანხმება ამერიკისთვის, რა თქმა უნდა, წამგებიანი იქნებოდა. ასეთ ვითარებაში რეიგანს მიაჩნდა, რომ ევროპაში ორივე მხარის რაკეტების რიცხვი 100 ერთეულით უნდა განსაზღვრულიყო, საბჭოთა შეიარაღება აზიაში კი – 60-70 ერთეულით. რეიგანი შეეხო ანტიბალისტიკურ შეთანხებასაც, რომელზეც საუბარისას პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ მისი გაფორმება შედიოდა ამერიკული მხარის ინტერესებშიც და ხელს შეუწყოდა ქვეყნებს შორის ნდობის ხარისხის ამაღლებას. არ იყო გამორიცხული მისი ხელმოწერა განუსაზღვრელი ვადითაც და არა მქოლოდ 10 წლით, როგორც ამას გორბაჩოვი ითხოვდა. თუმცა გორბაჩოვის მიერ კონკრეტული ვადის დასახელება განპირობებული იყო ეჭვით, რომ ამერიკელები მის უვადოდ გაფორმებაზე არ დათანხმდებოდნენ. აშშ-ს პრეზიდენტი დაწვრილებით განიხილავდა სტრატეგიული თავდაცვის საკითხსაც და აღნიშნავდა, რომ მასთან დაკავშირებით საბჭოელებს გარკვეული ეჭვები გააჩნდათ.

თავისი ზეპირი პრეზენტაციისას გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მზად იყვნენ აშშ-ს სტრუქტურის მიღებაზე დათანხმებულიყვნენ. საბჭოებმა შეიმუშავეს ისეთი სტრუქტურა, რომლის თანახმადაც გაუქმდებოდა 10 წლიანი ვადა, რაც განიარაღებისათვის იყო განსაზღვრული ABM ხელშეკრულების თანახმად, რაზეც პრეზიდენტმა თქვა, რომ მის მიერ გენერალური მდივნისათვის ივლისში მიცემული წინადადებისაგან ეს წინადადება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ივლისში პრეზიდენტმა რეიგანმა გორბაჩოვს მისწერა, რომ ორივე მხარეს უნდა შეენარჩუნებინა კვლევა, განვითარება და ტესტირება 1991 წლამდე, რაც დასაშვები იყო ABM ხელშეკრულებით. ამ ხნის შემდეგ თუ ორივე მხარეს ექნებოდა სურვილი განელაგებინა მოწინავე თავდაცვითი მექანიზმები, გეგმა უნდა შეეთავაზებინა იმ მხარეს, რომელიც მზად იქნებოდა გაეზიარებინა სტრატეგიული თავდაცვა მეორე მხარისათვის შეტევითი ბალისტიკური რაკეტების შემცირების და მთლიანად აღმოფხვრის მიზნით. ამ გეგმის შესახებ 2 წლის მოლაპარაკებების შემდეგ თუ შეთანხმება არ იქნებოდა მიღწეული, ორივე მხარე იქნებოდა თავისუფალი განელაგებინა მოწინავე თავდაცვითი ძალები 6 თვიანი წინასწარი

გაფრთხილების შემდეგ. საბჭოთა წინადადებისაგან განსხვავებით ორწლიანი მოლაპარაკებების ბოლოს ორივე მხარეს ექნებოდა უფლება განელაგებინა თავდაცვის ძალები. აშშ-ს წინადადების განხილვისას გორბაჩოვმა განაცხადა, რომ არ სჯეროდა აშშ-ს მხრიდან კვლევის საგნების გაზიარების, რადგან ის არ იყო მზად საბჭოთა კავშირისათვის ნებისმიერი სახის ტექნოლოგიის გაზიარებისათვის. რაზეც პრეზიდენტმა უპასუხა, რომ იგი მზად იყო ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი, რათა დაერწმუნებინა სსრკ მიცემული პირობის შესრულების გარანტიებში. პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს შორის ბირთვული ტესტირების თაობაზე საუბრისას გორბაჩოვმა არ დააძალა პრეზიდენტს საბჭოთა ბირთვული ტესტირების მორატორიუმში შესვლა, ამის ნაცვლად მან განაცხადა, რომ მოლაპარაკებებში განაახლებდა ტესტირების აღმოფხვრის საკითხს, მისი თქმით, ეს მოლაპარაკებები შეიძლება ყოფილიყო ორმხრივი ან სამმხრივი (აშშ-დიდი ბრიტანეთი-სსრკ). საბოლოოდ მან აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებების დროს, თითოეული მხარე ყველაფერს გააკეთებდა იმის მისაღწევად რაც მას სურდა, მიუხედავად იმისა დასრულდებოდა თუ არა ეს შეხვედრა ტესტირების აკრძალვით.

საღამოს სესიის განმავლობაში, ორი ლიდერი მდივარი შულცი და საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე განაგრძობდნენ დისკუსიებს. პრეზიდენტმა რეიგანმა გააკეთა გრძელი პრეზენტაცია თავდაცვისა და კოსმოსური, ბირთვული ტესტირებისა და რისკების შემცირების შესახებ. პრეზიდენტმა რეიგანა დააყენა ადამიანის უფლებათა მთელი რიგი საკითხები მათ შორის ებრაელთა ემიგრაციის, ოჯახების გაყოფისა და ორმაგი მოქალაქეობის საკითხები და პირადად გადასცა გორბაჩოვს მასალათა პაკეტი, გენერალურმა მდივანმა აღიარა ყველაფერი და აღნიშნა რომ იგივე ხდებოდა აშშ-შიც ადამიანის უფლებების კუთხით. საღამოს სესიაზე პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა ასევე განიხილეს მთელი რიგი რეგიონული და ორმხრივი საკითხები. ეს შეხვედრა დასრულდა 5:45 წუთზე და პრეზიდენტი დაბრუნდა აშშ-ს საელჩოში. ამ საღამოს პრეზიდენტს ჰქონდა პირადი სადილი მდივან შულცთან და ადმირალ პოინდექსტერთან, სადაც განიხილეს არმიის კონტროლის საკითხებზე შესაძლო ვარიანტები შემდეგი დღისთვის. ბირთვული ტესტირების შესახებ აშშ-სა და სსრკ-ს პოზიციებს შორის არსებითი განსხვავება იყო ის, რომ საბჭოებმა გამოთქვეს სურვილი ორივე მხარე დაუყოვნებ-

ლივ შეთანხმებულიყო ყველანაირი ბირთვული იარაღის ტესტირების აკრძალვის შესახებ. ამერიკული მხარე კი სურვილს გამოთქვამდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები, რის შემდეგაც აშშ და სსრკ გააგრძელებდნენ ბირთვული იარაღის შემცირებისა და აღმოფხვრის პარალელურად ტესტირების ნაბიჯ-ნაბიჯ შეზღუდვასაც. საბჭოთა მხარემ ეს წინადადება უარყო. საბოლოო ჯამში რეიკიავიკის სამიტის პირველი დღე კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე საუბრობდა დათმობების აუცილებლობაზე, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ორივე მათგანი ერიდებოდა. ორივე ლიდერი მოქმდებდა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. საბჭოთა მხარემ თავისი ყველა კომპრომისი გააუღერა ერთის გარდა. ეს იყო აზიაში განთავსებული რაკეტების საკითხი. გამოუვალ მდგომარეობაში გორბაჩოვი სწორედ ამ თემით გეგმავდა ამერიკელთა მხრიდან კომრომისის მიღწევას. რამდენად გამოიყენებდა იგი ამ ამ კოზირს და რამდენად გამოიყენებდა მას დასახული გეგმის მიღწევაში, ცნობილი გახდებოდა მოლაპარაკებათა მეორე დღეს.

სამიტის მესამე შეხვედრა შედგა 12 ოქტომბერს, კვირას, დილის 10 საათზე. პრეზიდენტი რეიგანი და გენერალური მდივანი გორბაჩოვი შულცთან და შევარდნაძესთან ერთად შეხვდნენ ერთმანეთს. ლიდერებმა განიხილეს წინა ღამის შეხვედრის შედეგები. კვირა დილის დისკუსიისას გორბაჩოვი დათანხმდა საბჭოთა SS-20s ტიპის იარაღის აღმოფხვრას ევროპაში და 100-მდე შემცირებას აზიაში, აშშ-ს PERSHING II-ს ტიპის სრულიად აღმოფხვრის და GLCM-ს ტიპის იარაღის აშშ-ში 100 -მდე შემცირების სანაცვლოდ. რაც შეეხება სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას, რეიგანის აზრით, გორბაჩოვი ჯერ არ იყო მზად ამ საკითზე მისი პოზიციების გასაზიარებლად. ბირთვული ცდების საკითხზე კი ამერიკული მხარე კვლავ მისი ეტაპობრივი შემცირებისკენ იხრებოდა და პირველ ადგილზე ეფექტური კონტროლის საკითხს აყენებდა. გორბაჩოვისთვის ბოლომდე გასაგები არ ჩანდა ამერიკული მხარის პოზიცია. საბჭოელები ცდილობდნენ რეალური პროგრესის მიღწევას ბირთვული შეირაღების შემცირებისა და მისი სრული განადგურების საკითხში, მაგრამ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამერიკელები ხელოვნურად აფერხებდნენ პროცესს. გორბაჩოვმა თანხმობა განაცხადა აზიაში საბჭოთა რაკეტების რიცხვი 100-მდე შემცირებულიყო, იმ შემთხვევაშიც კი თუ აშშ-ს წყნარი ოკეანის

აუზში შეიარაღებას მკვეთრად გაზრდიდა. მისი თქმით, ეს მკაფიოდ გამოხატავდა საბ-ჭოთა მხარის სურვილს პროგრესის მიღწევის გზაზე. ამ წინადადებამ რეიგანის მოწონე-ბა დაიმსახურა, რის შემდეგაც გორბაჩოვმა მასაც მოუწოდა საპასუხო ნაბიჯების გადად-გმისკენ, ვინაიდან აქამდე აშშ არც ერთ დათმობაზე არ წასულა. საბჭოთა ლიდერი ით-ხოვდა შეთანხმების მიღწევას ბირთვულ ცდებსა და ანტიბალისტიკური შეთანხმების ვა-დის განსაზღვრაზე, რომლის განმავლობაშიც მხარეები მის პრინციპებს დაიცავდნენ. სანაცვლოდ კი მზად იყო წასულიყო კიდევ ერთ დათმობაზე და დათანხმებოდა სტრა-ტეგიული თავდაცვითი ინიციატივის განვითარებას ლაბორატორიების დონეზე. საპასუ-ხოდ რეიგანმა განაცხადა, რომ ამერიკელთა ინტერესებში არ შედიოდა ანტიბალისტი-კური შეთანხმების მნიშვნელობის შესუსტება, მაგრამ სტრატეგიული თავდაცვითი ინიცი-ატივა რჩებოდა პრინციპულ საკითხად. ეს იყო პრეზიდენტის პირობა ამერიკელი ხალ-ხისათვის, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტია. ამიტომ ის ამ პირობას ვერ დაარღვევდა. რეიგანი გამოდიოდა ინიციატივით სტრატეგიული თავდაცვა ექციათ ანტიბალისტიკური შეთანხმების ნაწილად, როგორც თავდაცვაზე ორიენტირებული პროგრამა.

გენერალური მდივანი აღნიშნავდა, რომ უნდა დაწყებულიყო მოლაპრაკებები ყო-ველმხრივი ბირთვული ცდების აკრძალვის თაობაზე. გარკვეული დროის განმავლობა-ში მას დასაშვებად მიაჩნდა მისი გაგრძელება, მაგრამ რეიგანის მიერ ინიცირებული ორი ხელშეკრულების პირობებით საბოლოოდ უნდა მისულიყვენენ მათ სრულ აკრ-ძალვამდე. უნდა შექმნილიყო კონტროლის ეფექტური მექანიზმებიც. საბჭოთა მხარე საბოლოოდ ამ პოზიციაზე შეჯერდა. გენერალური მდივანი უკმაყოფილო იყო ამერიკ-ელთა პროგრამით და აცხადებდა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა მხოლოდ აშშ-ს ინტერესებს და ადექვატურად არ პასუხობდა ყოველმხრივი ბირთვული ცდების აკრ-ძალვის საკითხს. ის ვერ დათანხმდებოდა ისეთ გეგმას, რომელიც იცავდა მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს. ანტიბალისტიკურ შეთანხმებასა და ყოველმხრივი ბირთვუ-ლი ცდების აკრძალვის საკითზე ამერიკულ მხარეს უნდა გადაედგა საპასუხო ნაბიჯები, მაგრამ გორბაჩვის აზრით, მის კოლეგას არ სურდა დათმობებზე წასვლა. ნებისმიერ შემთხვევაში ყოველმხრივი ბირთვული ცდების აკრძალვა უნდა მომხდარიყო ბირთვუ-

ლი შეიარაღების შემცირების პარალელურად. პრეზიდენტის აზრით, ასეთი სცენარის განხილვისთვის საბჭოელები მზად არ იყვნენ. მოცემულ მომენტში წარსულის ცუდი გამოცდილების გამო, ამერიკლები მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ.

სტრატეგიული შეიარაღებისა და საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვული რაკეტების თემაზე მხარეებმა შეძლეს კონსენსუსამდე მისვლა. ანტიბალისტიკურ შეთანხმებასა და ბირთვულ ცდებზე მოხდა აზრთა გაცვლა, მაგრამ საერთო კონცეფიცია ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. ამ თემების შემდგომი განხილვისას ახალი აღარაფერი თქმულა. გორბაჩოვი და შევარდნაძე კვლავ კითხულობდნენ, დათანხმდებოდა თუ არა ამერიკული მხარე ანტიბალისტიკური შეთანხმების ვადების განსაზღვრას. სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე ამერიკლეთა პოზიცია უცვლელი რჩებოდა. ამ საკითხების შეჯამებისას გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ის და პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სავარაუდოდ გააკეთებდნენ განცხადებებს, რომ პროცესი არ შეჩერებულა. თუმცა გენერალური მდივანი სამწუხაროდ მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტმა ხელი შეუშალა ახალი იმპულსების მიღწევას შეირაღების შეზღუდვასა და განიარაღებაზე. რეიგანიც მიიჩნევდა, რომ პრინციპულ საკითხებზე მსჯელობისას ისინი ტყუილად არ გარჯილან.[13]

ადამიანის უფლებებზე მჯელობისას გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი. რელიგიური დევნის პრობლემის თაობაზე წამოჭრა რეიგანმა თემა, თუმცა პასუხი ვერ მიიღო. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო თავისუფალი მედიისა და მაუწყებლობის საკითხებს. გორბაჩოვმა გამოთქვა მზადყოფა, არ ჩაეხშოთ „ამერიკის ხმის“ სიგნალი, იმ პირობით, თუ შეერთებულ შტატებშიც შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა რადიომაუწყებლობა.

ეს დისკუსია დღის 1:30 წუთამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც გადაწყდა შეესვენათ და შეხვედრა 3 საათზე განეახლებინათ, რათა მიღწეულიყო შეთანხმება სხვა საკითხებზეც. შესვენების დროს ორივე მხარე თავის მრჩევლებთან განიხილავდა შემდეგ სამოქმედო გეგმას, პრეზიდენტი რეიგანი პირადად შეხვდა მრჩეველთა ჯგუფს, სადაც გადაწყდა რომ საბჭოთა მხარისათვის შეეთავაზებინათ გაეგრძელებინათ ორივე მხარეს

[13] Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d1.

კვლევები და ბირთვული ტესტირება 5 წლის განმავლობაში, 1991 წლამდე, რაც ნებადართული იყო ABM ხელშეკრულებით, რომლის დროსაც მოხდებოდა სტრატეგიული ბირთვული იარაღის 50%-მდე შემცირება. ორივე მხარეს გაეგრძელებინა დარჩენილი ბალისტიკური რაკეტების შემცირების ტემპი, რომელთა ლიკვიდაცია დასრულდებოდა მეორე 5 წლის გასვლის შემდეგ. 10 წლიანი პერიოდის ბოლოს ყველა შეტევითი ბალისტიკური რაკეტა უნდა ყოფილიყო აღმოფხვრილი, რის შემდეგაც ორივე მხარე იქნებოდა თავისუფალი გამოეყენებინათ თავდაცვითი საშუალებები.[14]

მესამე შეხვედრის დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს, რომ ლიდერებმა შეძლეს ორ მნიშვნელოვან საკითხზე საერთო ენის გამონახვა. შეხვედრის დასასრულს შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადება იძლეოდა იმედს, რომ სამიტის დასრულებამდე დარჩენილ საკითხებზეც მოხერხებოდა კონსენსუსის მიღწევა, თუმცა ეს ადვილი არ იქნებოდა. ადამიანთა უფლებების საკითხზე საუბრისას კი გორბაჩოვს არ უსარგებლია წინასწარ დასახული გეგმით. მას არ გაუკეთებია აქცენტი ამერიკაში არსებულ პრობლემებზე, როგორც ამას გეგმავდა მოსკოვში გამართული კონსულტაციების დროს.

რეიკიავიკის სამიტის ბოლო შეხვედრა 3:30 წუთზე შედგა. პრეზიდენტმა და მინისტრმა შულცმა განაახლეს შეხვედრა გენერალურ მდივან გორბაჩოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან. საბჭოთა მხარემ შესთავაზა აშშ-ს რომ არ გაუქმებულიყო ABM ხელშეკრულების 10 წლიანი ვადა, ნაცვლად ამისა დაყოფილიყო ორ 5-5 წლიან პერიოდებად. პირველი ხუთი წლის მანძილზე (1991 წლამდე) უნდა მომხდარიყო სტრატეგიული შეტევითი შეირაღების 50 პროცენტით შემცირება; მეორე ხუთი წლის მანძილზე კი ასეთი შეიარაღება სრულად უნდა განადგურებულიყო. აკრძალულიყო ბირთვული ტესტირება ღია სივრცეში და ლაბორატორიაში ტესტირებით შემოფარგლულიყო, 50%-ამდე შემცირებულიყო სტრატეგიული თავდაცვის იარაღი პირველი 5 წლის ვადაში, ხოლო მეორე 5 წლის განმავლობაში აღმოფხვრილიყო დარჩენილი სტრატეგიული თავდაცვის იარაღი, თუმცა ამ შეთავაზებაში არ იყო ნახსენები, რომ ორივე მხარეს უფლება ექნებოდა განელაგებინა თავდაცვის ძალები. შულცმა წარმოადგინა

[14] Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986.

საპასუხო წინადადებათა პაკეტი, რომელიც ოდნავ განსხვავებული ხასიათისა იყო. ის ეთანხმებოდა გორბაჩოვის იდეას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ანტიბალისტიკურ თავდაცვაზე მუშაობა ლაბორატორიით არ უნდა შემოფარგლულიყო.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ არსებობდა ორი განსხვავება. პირველი რა იყო დაშვებული 10 წლის მანძილზე და მეორე თუ მან სწორად გაიგო, საბჭოთა მხარე ითხოვდა შეთანხმებიდან გაუსველობის პირობას პირველი პერიოდის მანძილზე, მაშინ როდესაც ამერიკელები იმავეს 10 წლის განმავლობაში ითხოვდნენ. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ისინი მტიცედ მოითხოვდნენ ანტიბალისტიკური რეჟიმის დაცვას 10 წლის მანძილზე. იმ შეიარაღების შემცირება, რომელიც სტრატეგიული არ იყო განისაზღვრებოდა სეპარატიული შეთანხმების პირობებით, რომელიც ასევე მისაღწევი იყო. ამის შემდეგ მხარეები ერთი საათით შესვენებაზე გავიდნენ. შესვენებაზე ორივე მხარე ოპრიმისტური განწყობით გავიდა. საერთო ინტერესები ნათლად გამოიკვეთა. ისინი უკვე ახლოს იყვენენ პოზიციათა შეჯერებასთან. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ წვრილმანი ტექნიკური საკითხების მოგვარება და ტერმინთა დაზუსტებაღა იყო საჭირო.

შეხვედრის განახლების შემდეგ, რეიგანმა განაცხადა, რომ ბევრი იმუშავა საბჭოთა პოზიციებთან დასაახლოვებლად და აქვე აღნიშნა, რომ ის იზიარებდა კოლეგის ყველა მოსაზრებას გარდა ერთისა: პრეზიდენტს სურდა, სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან დაკავშირებული ცდები და წარმოება ლაბორატორიების ფარგლებს გარეთაც მომხდარიყო იმ დოზით, რაც ჩაიწერებოდა ანტიბალისტიკურ შეთანხმებაში. ეს პოზიცია მიუღებული იყო გორბაჩოვისათვის, არცერთი მხარე არ აპირებდა დათმობაზე წასვლას ამ საკითხის გარშემო, ამიტომ რეიკიავიკის სამიტი ისე დასრულდა ბირთვული ცდების ჩატარების თაობაზე შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, ეს საკითხი კვლავ ღია რჩებოდა.[15]

რეიგანი შედეგების შეჯამებაზე გადავიდა. მისი თქმით, პირველ ეტაპზე შეტევითი

[15] Memorandum of Conversation. Reagan-Gorbachev Meeting in Reykjavik. Fourth Meeting. October 12, 1986. National Securiy Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document15.pdf.

არსენალის 50 პროცენტით, ხოლო შემდეგ სრული განადგურება დიდი მიღწევა იქნებოდა. ამავე დროს ორივე ლიდერს ექნებოდა პოზიტიური სიგნალი თავისი ხალხისთვის. პრეზიდენტს ის, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა შეინარჩუნა, გენერალურ მდივანს კი შეეძლო ეთქვა, რომ მიაღწია ანტბალისტიკური რეჟიმის დაცვას 10 წლის ვადით. საბოლოოდ შეთანხმება მიღწეულ იქნა, რომ ABM ხელშეკრულება დარჩებოდა ძალაში, 10 წლიანი პერიოდის პირველი 5 წლის განმავლობაში ორივე მხარის სტრატეგიული თავდაცვის იარაღი შემცირდებოდა 50%-მდე, ხოლო მეორე 5 წლის განმავლობაში ორივე მხარის ყველა შეტევითი ბალისტიკური რაკეტა მთლიანად აღმოიფხვრებოდა. ასევე 10 წლის გასვლს შემდეგ ორივე მხარეს ექნებოდა უფლება განელაგებინა სტრატეგიული თავდაცვის ძალები იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე არ იქნებოდა წინააღმდეგი. რაც შეეხება SDI ტიპის ბირთვული იარაღის ტესტირების საკითხს, როგორც აღვნიშნეთ, ამაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან პრეზიდენტი არ დათანხმდა კვლევის მხოლოდ ლაბორატორიაში დაშვების საკითხს, თავის მხრივ გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმაც არ შეიცვალა თავისი პოზიცია ამ კრიტიკულ პუნქტზე.[16]

რეიკიავიკში მხარეები უფრო ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან, ერთის გარდა ყველა საკითხზე მოხდა პოზიციათა თანხვედრა. რომელიმე მხრიდან ბირთვული ცდების საკითხზე კომპრომისის შემთხვევაში, შეხვედრა ბოლომდე წარმატებულად ჩაითვლებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამიტი მაინც წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. საბჭოთა მხარე წავიდა ყველა წინასწარგანზრახულ კომპრომისზე. კომპრომისულადვე შეიძლება შევაფასოთ ამერიკული მხარის მოქმედებებიც. სამიტმა ნათლად გამოაჩინა ის სირთულეები, რაზეც რეიგანს სამიტამდე აფრთხილებდნენ მისი მრჩევლები. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ რეალობას, რომ რეიკიავიკში ამერიკული მხარე მიდიოდა საბჭოთა გეგმების შესახებ ძალიან მწირი ცოდნით და მისთვის წინასწარ ძალზე ნაკლები რამ იყო ცნობილი გორბაჩოვის განწყობებთან დაკავშირებით. სამიტის წინა პერიოდში გორბაჩოვიც აღნიშნავდა, რომ რადიკალიზმი არ იქნებოდა მომგებიანი. მეტი ეფექტის

[16] Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986.

მისაღებად კი შევარდნაძე ყველასთვის მოულოდნელი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ხედავდა. ამერიკული მხარისთვის მოულოდნელი იყო საბჭოელთა დათმობა აზიაში განალგებული რაკეტების საკითზე. გორბაჩოვს არ სურდა იზოლაციონისტური კურსის გატარება და ყველაფერს აკეთებდა, რომ სსრკ ექცია თანამედროვე მსოფლიოს ნაწილად, რის დასტურადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ რეიკიავიკის სამიტი.

1986 წლის 31 ოქტორმბერს საბჭოთა კავშირში აშშ-ს საელჩომ გაუგზავნა ტელეგრამა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს. ჰარტმანი სწერდა შულცს, რომ შევარდნაძეს მომავალი, დაგეგმილი შეხვედრისას ვენაში ექნებოდა ახალი იდეები, სთავაზობდა დაეფვარა აშშ-ს რეალური ინტერესები (რეგიონალური, ორმხრივი, ადამიანის უფლებები) და ყურადღება გაემახვილებინა SDI- ს და ABM- ს ხელშეკრულების ინტერპრეტაციაზე.[17]

§1.3. რეიკიავიკის სამიტის შემდგომი პერიოდი

რეიკიავიკის სამიტის შემდეგ, ქვეყნის პირველი პირების შეხვედრას შეფასებები მოჰყვა ორივე ქვეყნაში, აშშ-შიც და სსრკ-შიც. საინტერესოა, რომ რეიგანსა და გორბაჩოვს ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ. შეერთებული შტატების პრეზიდენტი არ მალავდა, რომ რეიკიავიკის სამიტის შედეგით იმედგაცრუებული და გაბრაზებული იყო. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ის ნათლად დარწმუნდა თავისი პოზიციის სისწორეში, ვინაიდან დაინახა, რომ სტრატეგიული თავდაცვის საკითხზე მის ხალხს არ სურდა კაპიტულაციის გამოცხადება. რეიგანი ბოლომდე არ იყო კმაყოფილი სამიტზე მიღწეული შეთანხმებებით, თუმცა ამერიკული მხარის პოზიცია მაინც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, რაც კარგად ჩანს, ეროვნული უშიშროების არქივის ერთ-ერთ დუკუმენტში, რომლის პირობითი სახელწოდებაცაა „რეიკიავიკის გაკვეთილები", დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა დელეგაციის ლიდერებთან გორბაჩოვთან, შევარდნაძესთან და ახრომეევთან მოლაპრაკებები სასარგებლო და პროგრესული ნაბიჯი

[17] Office of the historian; Telegram From the Embassy in the Soviet Union to the Department of State; Moscow, October 31, 1986; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d4.

იყო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დიპლომატიურ ურთიერთობებში.[18]

როგორც აღვნიშნეთ, სამიტთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა გორბაჩოვს. ის შეხვედრას წარმატებულად მიიჩნევდა. სამიტის შემდგომ პრეს-კომფერენციაზე რეიკიავიკის მოლაპარაკებებს მან უწოდა „ინტელექტუალური გარ-ღვევა საბჭოთა კავშირ – ამერიკის ურთიერთობებში“.[19]

საკუთარ სიტყვაში გორბაჩოვმა დიდი ადგილი დაუთმო სტრატეგიული თავდაც-ვითი ინიციატივის თაობაზე არსებულ თვისობრივ განსხვავებებს. რეიკიავიკის სამიტს გორბაჩოვი მიიჩნევდა საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებად. გენერალური მდივანი ამ-აყად აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებათა დროს ყოველთვის მტკი-ცედ დააყენებდა უსაფრთოხოების გარანტიების მიღების აუცილებლობას.[20]

1986 წლის ოქტომბრის ბოლოს საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტა-ტები დიპლომატიურ სკანდალში გაეხვივნენ. აშშ-მ საბჭოთა კავშირის საელჩოში მომუ-შავე 55 ადამიანი ჯაშუშობაში ამხილა და ქვეყნიდან გააძევა, ხოლო რამდენიმე მათგანი გამოცხადდა პერსონა ნონ-გრატად. საპასუხოდ სსრკ-მ 10 ამერიკელი დიპლომატი გა-აძევა ქვეყნიდან და უკან გამოიხმო მოსკოვში, აშშ-ს საელჩოში მომუშავე საბჭოთა მო-ქალაქეები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით 22 ოქტომბერს პოლიტბიუროს სხდომა-ზე გორბაჩოვმა ამერიკელთა ქმედებას ბანდიტური უწოდა. ის აუცილებლად მიიჩნევდა სათანადო პროპაგანდისტული სამუშაოების ჩატარებას და თვლიდა, რომ ეს ქმედება შეაშინებდა ამერიკის ხელისუფლებას. მთავარი მიზანი კი ის იყო, რომ საბჭოთა მხარეს უნდა დაედანაშაულებინა თეთრი სახლის ადმინისტრაცია რეიკიავიკში მიღწეული შე-თანხმებების დარღვევაში.[21]

ნოემბრის დასაწყისში ვენაში დაგეგმილი იყო შევარდნაძისა და შულცის შეხვედ-რა. საბჭოთა ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი გორბაჩოვი, კარგად აცნობიერებ-

---

[18] “Lessons of Reykjavik.” U.S. Department of State. October 12, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document18.pdf.

[19] ედუარდ შევარნაძე. ფიქრი წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2006, გვ. 136.

[20] Session of the Politburo of the CC CPSU. October 16, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document21.pdf.

[21] Session of the Politburo of the CC CPSU. October 22, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document22.pdf.

და იმ ეკონომიკურ სირთულეებს, რომლის წინაშეც ქვეყანა იდგა, მაგრამ პრინციპულად დაუშვებლად მიიჩნევდა იმაზე მეტ კომპრომისზე წასვლა, ვიდრე ეს გაკეთდა რეიკიავიკში, შევარდნაძის მთავარი ამოცანა ვენის შეხვედრაზე უნდა ყოფილიყო ამერიკელთა პოზიციის ზუსტი განსაზღვრა.[22]

აშშ-ს სახელმწიფო მდივანის შულცისა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის სამომავლო შეხვედრაზე ვენაში აშშ-ს ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებდა. პრეზიდენტმა რეიგანმა ვენის შეხვედრის მიზნები და შესაძლო შედეგები განიხილა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თავის ასისტენტთან, პოინდექსტერთან, რომელმაც მიღებული გადაწყვეტილებები გააცნო სახელმწიფო მდივან შულცს. პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ ეს შეხვედრა გააძლიერებდა და განამტკიცებდა რეიკიავიკში მიღწეულ შეთანხმებებს, მკაფიოდ და ნათლად განმარტავდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის პოზიციებს თავდაცვისა და კოსმოსური სივრცის საკითხებში, წინ წაწევდა "START"-ის და „INF"-ის შესახებ მიღწეულ შეთანხმებებს და რაც მთავარია დაარწმუნებდა აშშ-ს, რომ რეიკიავიკში დასახულ გეგმას იარაღის კონტროლის შესახებ სსრკ ნამდვილად შეასრულებდა.[23]

მიმოიხილავდა რა რეიკიავიკში განვითარებულ მოვლენებს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დაუშვებლად მიიჩნევდა საბჭოთა შემოთავაზების ყოველმხრივ გაზიარებას და გამოდიოდა ამერიკული პოზიციის მტკიცე დაცვის ინიციატივით. მთავარი, რასაც რეიგანი ამტკიცებდა, იყო ის, რომ აშშ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმებოდა სტრატეგიულ თავდაცვასთან დაკავშირებული ცდების მხოლოდ ლაბორატორიებში ჩატარებას. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 1996 წლისათვის სრულად უნდა ყოფილიყო განადგურებული როგორც ამერიკული, ისე საბჭოთა შეტევითი ბალისტიკური შეიარაღება, მაგრამ არ არსებობდა გარანტია, რომ საბჭოთა კავშირი თავის პირობას არ დაარღვევდა და ასეთი შემთხვევისთვის შეერთებულ შტატებს სჭირ-

[22] Anatoly Chernyaev. Notes from Politburo Session. October 30, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document23.pdf.

[23] Office of the historian; Memorandum From the President's Assistant for National Security Affairs (Poindexter) to Secretary of State Shultz; Washington, November 3, 1986; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d5.

დება უსაფრთხოების მყარი გარანტიები. აშშ მომავალშიც გააგრძელებდა ნატოს თავდაცვითი პოტენციალის გაზრდას. შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების თავდაცვის უზრუნველყოფისთვის პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნდა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან დაკავშირებული კვლევებისა და ცდების გაგრძელება. მყარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ვერ მოხმდარიყო მისი სრული განხორიცილება, ვინაიდან ის დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სტრატეგიული ბირთვული შიერაღების განადგურების პარალელურად ქვეყანას უნდა ემუშავა სტრატეგიულ თავდაცვაზეც. [24]

1986 წლის 5 ნოემბერს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი შულცი და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე ერთმანეთს შეხვდნენ ვენაში, მას შემდეგ რაც, ერთმანეთი მოიკითხეს შევარდნაძემ ჰკითხა შულცს უნდა გაეგრძელებინათ თუ არა მოლაპარაკებები იმ დონიდან რასაც რეიკიავიკში მიაღწიეს და ისევ იყო თუ არა ძალაში პრეზიდენტისა და გორბაჩოვის შეთანხმება. ეს ერთი შეხედვით მარტივი კითხვა იყო, თუმცა ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამაზე იყო დამოკიდებული შეთანხმება ბირთვული იარაღის აღმოფხვრისა და ტესტირების შეწყვეტის შესახებ პროგრესულად წინ წავიდოდა თუ ამ საკითხების განხილვა ახალ სრულიად განსხვავებულ კონტექსტში მოუწევდათ. შევარდნაძემ თავისი სიტყვით გამოსვლისას გაიხსენა, რომ რეიგანი მიესალმა 1996 წლისათვის არა მხოლოდ შეტევითი იარაღის, არამედ ყველა სხვა ბირთვული იარაღის, ბომბებისა და საკრუიზო რაკეტების აღმოფხვრის შესაძლებლობას. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ იკითხა შეეძლოთ თუ არა ეხელმძღვანელათ რეიკიავიკში მიღებული გადაწყვეტილებებით და ხაზი გაუსვა რომ საჭირო იყო გარკვეულობა და გამჭვირვალობა ამ საკითხზე. სახელმწიფო მდივანი შულცი დაეთანხმა ამ შეხედულებას, მაგრამ განაცხადა, რომ საჭირო იყო პრეზიდენტთან კონსულტაციის გავლა, რის შემდეგაც აღნიშნა, რომ აშშ აღარ აპირებდა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას და აჯობებდა ამ ეტაპზე ასე დაესრულებინათ. ორივე მხარეს სურდა ყო-

[24] National Security Decision Directive Number 250 "Post-Reykjavik Follow-Up". November 3, 1986. National Security Archive Electronic Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document25.pdf.

ფილიყო დარწმუნებული, რომ საკუთარი ბირთვული პოტენციალის შემცირებით ბალანსი არ დაირღვეოდა არც ერთმანეთის და არც დანარჩენი ქვეყნების, მსოფლიოს მიმართ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი შულცი განაგრძობდა რეიკიავიკის შეხვედრის დროს გამოთქმული თავისი შეხედულების რეალიზებას და მიაჩნდა, რომ გონივრულად, ნათლად უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული ორმხრივი, ადამიანის უფლებები და რეგიონალური საკითხები. მათ ფრთხილად და დეტალურად უნდა დაემუშავებინათ სტრატეგიული იაღარის 50%-მდე შემცირების საკითხი. დელეგაციის წევრებმა განიხილეს რამდენიმე გზა საშუალო რადისზე მოქმედი იარაღის შემცირების საკითხზე შაბათს საღამოს,თუმცა საბოლოოდ ეს საკითხი რჩებოდა ღიად სანამ კვირას დილით ორი ლიდერის შეხვედრისას არ იქნებოდა შეჯერებული და არ მიიღწეოდა შეთანხმება. რაც შეეხება მოკლე რადიუსზე მოქმედ რაკეტებსა და ბირთვულ ტესტირებას ამ საკითხებზე აშშ-სა და სსრკ-ს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, რაზეც შევარდნაძემ თქვა, რომ მართალია არსებობს განსხვავებები, თუმცა პატარა ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია შეთანხმების მიღწევაო. შულცი დაეთანხმა, მოლაპარაკებების გაწელვის დრო არ იყო, ამიტომ ყველა ღონე უნდა ეხმარათ რათა შეთანხმებისათვის რაც შეიძლება მალე მიეღწიათ. საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების თაობაზე საბჭოთა მხარემ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ფრანგულ და ბრიტანულ სისტემებზე, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა აზიის საკითხზეც. შევარდნაძემ გაახსენა შულცს, რომ რეიკიავიკში მოლაპარაკებებისას ორი წინადადება განიხილებოდა, 1. შემცირებულიყო ყველა სახის სტრატეგიული შეტევითი ხასიათის იაღარი 50%-ით და 2. ყველა სახის ბალისტიკური რაკეტა მთლიანად უნდა ყოფილიყო აღმოფხვრილი. რეიკიავიკში შეთანხმება მიღწეულ იქნა, რომ 10 წლის გასვლის შემდგომ ყველა სახის სტრატეგიული შეტევითი იარაღი უნდა აღმოფხვრილიყო, შევარდნაძემ ჰკითხა შულცს იყო თუ არა ეს შეთანხმება ისევ ძალაში, თუ აშშ ბრუნდებოდა უკან მოლაპარაკებების დასაწყისში. რაზეც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა უპასუხა, რომ ზოგიერთ საკითხში მათ შორის თავდაცვისა და კოსმოსური სივრცის საკითხებში იყო ორაზროვნება და საჭირო იყო უფრო ნათლად და კონკრეტიკით ყოფილიყო განხილული ეს საკითხები. შევარდნაძემ შეაწ-

ყვეტინა შულცს და უთხრა რომ ძალიან წუხდა, რადგან სახელმწიფო მდივანი მის კითხვას თავს არიდებდა, მან კვლავ გაუმეორა კითხრა, ხელმძღვანელობდნენ თუ არა რეიკიავიკში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, რომლის თანახმადაც 1996 წლის ბოლო ყველა სახის ბირთვული იარაღი უნდა ყოფილიყო განადგურებული, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული იქნებოდნენ თუ არა სრულიად ახალ სიტუაციაში. შევარდნაძის თქმით, იმ შემთხვევაში თუ ეს შეთანხმება ძალას დაკარგავდა საჭირო გახდებოდა მთელი რიგი ცვლილებები შეეტანათ სხვადასხვა საკითხებში. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტი მიესალმებოდა ყველა სახის ბირთვული იარაღის განადგურებას, თუმცა ასევე აცნობიერებდა, რომ ეს საკითხი საკმაოდ რთული იყო, ამიტომ მის მისაღწევად უნდა გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები კომპლექსურად და ნაბიჯ-ნაბიჯ. კვირას შუადღისას ჯერ კიდევ არაფერი იყო დაზუსტებით გადაწყვეტილი, მთავარი კითხვა იყო, როგორ უნდა ემოქმედათ ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა ასევე როგორ უნდა ემოქმედათ მოკლე და საშუალო რადიუსის მქონე ბალისტიკური რატეკებისა და სტრატეგიულ თავდაცვის იარაღთან მიმართებაში, არაფერი იყო გადაწყვეტილი. შესაბამისად ორივე ლიდერის ინტერესებში შედიოდა გაემართათ დისკუსია, რათა მიეღწიათ შეთანხმებისათვის. მოლაპარაკებებისას აშშ-ს სახელმწიფო მდვანი შულცი შეეხო ასევე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა რელიგიის თავისუფლება, გადაადგილება, ემიგრაცია და ოჯახური ურთიერთობები.

შევარდნაძემ კვლავ განაგრძობდა გარკვევას თუ რა იყო დარჩენილი ძალაში იმ შეთანხმებებიდან რასაც გორბაჩოვმა და პრეზიდენტმა მიაღწიეს, შემდეგ კატეროგორიული უარი თქვა სტრატეგიული თავდაცვის იარაღისა და ბირთვული არსენალის აკრძალვის შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. შეიძლება ითქვას, რომ საუბარი დრამატულად წარიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრმა გაიხსენა, რეიკიავიკში პრეზიდენტ რეიგანის ნათქვამი, რომ აშშ-მ და სსრკ-მ მიაღწიეს ისტორიული მნიშვნელობის შეთანხმებებს და აღნიშნა, რომ თუ ეს შეთანხმებები ეჭვ ქვეშ დგებოდა მას აღარ სურდა სხვა საკითხებზე გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირი არ-

აფერს ამბობს დაუფიქრებლად და ზერელედ, რომ რეიკიავიკში მიღწეული შეთანხმებები უნდა დარჩეს ძალაში და რომ უკან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხიონ, რადგან ეს იქნება ცუდის მომტანი პრეზიდენტისა და მომავალი თაობისათვის. რის შემდეგაც შევარდნაძემ რიტორიკულად ჰკითხა შულცს, როგორ შეიძლებოდა დაეჯერებინათ სხვა დაბალი თანამდებობის პირების დონეზე მიღწეული შეთანხმებების თუ კი გორბაჩოვისა და რეიგანის შეთანხმებებს დააყენებდნენ ეჭვ ქვეშ? რაზეც სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ის ცდილობდა აეხსნა მინისტრისათვის აშშ-ს პოზიცია და ჰკითხა, თანახმა იყო თუ არა სსრკ 10 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ორივე მხარეს ჰქონოდა უფლება განელაგებინა სტრატეგიული თავდაცვის იარაღი, თუ კი ამის სურვილი ექნებოდათ? პასუხად მიიღო, რომ სსრკ-მ უნდა დაინახოს მეცნიერება, კვლევები და პრაქტიკა, რა შედეგს მოიტანს, სსრკს-ს არ სურს სტრატეგიული თავდაცვის იარაღის განლაგება, თუმცა თუკი დაინახავს, რომ აშშ-ს მხრიდან საფრთხე არ არის, ხელს არ შეუშლის მას სურვილის ასრულებაში. შევარდნაძემ ითხოვა მიეღო განმარტება თუ რას ნიშნავდა სახელმწიფო მდივანისა და პრეზიდენტის ნათქვამი, რომ ისინი თანახმა იყვნენ დადებულიყო შეთანხმება 10 წლის ვადით იმ შემთხვევაში თუ საშუალება ექნებოდათ ხელშეკრულებაში პატარა ცვლილებების შეტანის. ის ითხოვდა დეტალურად, ნათლად ყოფილიყო განმარტებული თუ რა იყო ნებადართული და რა არა ანტიბალისტიკური რატეკების შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად. სსრკ ისედაც დიდ დათმობაზე წავიდა რეიკიავიკში და მეტ დათმობას არ აპირებდა, ამიტომ შევარდნაძემ აღნიშნა რომ ხელშეკრულების ყველა დეტალის ნათლად განმარტება იყო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხი. შულცმა ამ შენიშვნის საპასუხოდ თქვა, რომ შეთანხმება 10 წლიანი ვადის შესახებ მიღწეული იყო, თუმცა ცვლილებების შეტანა ხელშეკრულებაში საჭირო იქნებოდა და რომ საბჭოთა წინადადება კვლევევის ლაბორატორიაში ჩატარების თაობაზე დათმობა კი არ იყო, არამედ ხელშეკრულების შევიწროება.

საბოლოოდ, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მოლაპარაკებები განახლდებოდა მეორე დღეს, 6 ნოემბერს, დილით საბჭოთა კავშირის საელჩოში, სადაც განხილული იქნებოდა შემდეგი საკითხები: 1. სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შესახებ რეიკი-

ავიკში მიღებული გადაწყვეტილებები; 2. საშუალო რადიუსის მქონე ბირთვული იარაღის საკითხი; 3. კოსმოსური სივრცისა და თავდაცვის საკითხები, სადაც შესაძლოა სსრკ-ს ცვლილებები შეეტანა; 4. ბირთვული იარაღის ტესტირების საკითხი, რომელიც განიხილებოდა, თუმცა შეთანხმება არ იყო მიღწეული; და 5. ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებით რა იყო ნებადართული და რა არა.[25]

6 ნოემბერს, დილით, 8:05 წუთზე განახლდა შეხვედრა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა შულცმა თქვა, რომ მას ჰქონდა მთელი რიგი საკითხებისა, რომელის განხილვა ვერ მოესწრო გუშინ, ასევე მან იცოდა, რომ შევარდნაძეს სურდა მისთვის ეთქვა რაღაც ქიმიურ და ჩვეულებრივი იარაღის თაობაზე და მოუთმენლად ელოდებოდა მოესმინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოსაზრება. შულცმა სურვილი გამოთქვა ორ ქვეყანას შორის ინფორმაციის გაცვლა ყოფილიყო მეტად მარტივი და აღნიშნა, რომ მიესალმებოდა ამერიკული რადიოსადგურისა და ტელევიზიის მაუწყებლობას სსრკში, ასევე ამერიკული მხარე გამოთქვამდა მზაობას გამარტივებულიყო აშშ-სა და სსრკ-ს შორის მიმოსვლა,რათა ადამიანებს შეძლებოდათ თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე. რაზეც შევარდნაძემ უპასუხა, რომ საჭიროა დისკუსიის გამართვა ამ საკითხების განსახილველად, ამიტომაც საბჭოთა კავშირი მხარს დაუჭერს ფორუმის შექმნას, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი ასევე მზაობას გამოთქვამდა დისკუსიები გამართულიყო ორ ქვეყანას შორისო საჰაერო მიმოსვლის თაობაზეც. რაც შეეხება იარაღის საკითხს, საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ იგი მიმდინარე მოლაპარაკებებისას გამოთქმულ მოსაზრებებს განიხილავს განიარაღების კომიტეტში და იმედი აქვს, შემდეგი წლისათვის მიიღწევა შეთანხმება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. ხოლო ჩვეულებრივი იარაღის შესახებ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე დისკუსიის გამართვა არ იქნებოდა სასარგებლო. სახელმწიფო მდივანი მიესალმა ქიმიური იარაღის შესახებ შევარდნაძის სიტყვებს და თქვა რომ საჭირო იყო სწრაფი რეაგირება, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნებოდა საკითხის გადაჭრა. ვენაში გამართული შეხვედრე-

[25] Office of the historian; Memorandum of Conversation; Meeting between the Secretary and Shevardnadze; Vienna, November 5, 1986, 3:55–6:55 p.m. and 7:05–7:15 p.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d6.

ბისას მოლაპარაკებები გაიმართა ორმხრივი და დაბალანსებული ძალების შემცირების თაობაზე, შევარდნაძემ შეახსენა შულცს, რომ ამ საკითხზე აღმოსავლურ და დასავლურ მხარეს ჰქონდათ საწინააღმდეგო შეხედულებები, რომ აღმოსავლეთის წინადადებები იყო უფრო მისაღები და შესაძლებელი იყო გამართულიყო დისკუსიები, საბჭოთა კავშირი გამოთქვამდა იმედს რომ ვენაში ამ საკითხის გარშემო გამართული მოლაპარაკებები დამთავრდებოდა შეთანხმებით. თანხმობა უნდა მიღწეულიყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, კერძოდ, პოლონეთსა და გდრ-ში ინსპექციის ჩატარების თაობაზე. მაგრამ ამაში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ აშშ-ს მოკავშირეებს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სამბჭოთა კავშირმა სტოკჰოლმში გადაწყვიტა დაეშვა შემოწმება თავის ტერიტორიაზე, იმ პირობით თუ მოკავშირეები არ ჩაერეოდნენ. თუმცა ეს პირობა შულცისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მან განაცხადა რომ აშშ იყო ალიანსის ნაწილი, რომ ის ინარჩუნებდა დიდი რაოდენობით ძალებს ტერიტორიებზე, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარებოდნენ და გამორიცხავდა ამ პირობით შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას. დისკუსიისას გამოიკვეთა ღრმა უთანხმოება რამდენიმე საკითხზე, მხარეებს მკვეთრად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ, ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების, სტრატეგიული შეიარაღების შემცირებისა და საშუალო რადიუსის ბირთვული შეიარაღების თაობაზე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ხელმძღვანელობის ჩართვა მოლაპარაკებებში, რადგან სხვაგვარად ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება ვერ მიიღწეოდა. მან ხაზგასმით თქვა, საბჭოთა კავშირი ვენის შეხვედრამდე ფიქრობდა, რომ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა შეთანხმებული იყო ძირითად საკითხებზე რეიკიავიკში, თუმცა ასე არ აღმოჩნდა და ყველაფერი რაზეც შეთანხმება მიღწეულად მიგვაჩნდა დაინგრაო. რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა ამერიკულმა მხარემ უარყო და გაანცხადა, რომ მათ არაფერი დაუნგრევიათ.[26]

საბოლოოდ, გადაწყდა მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელებულიყო შემდეგი შეხვედრებისას. ვენაში გამართული შეხვედრის შედეგმა შეცვალა მოს-

[26] Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary Shultz's Meeting with Foreign Minister Shevardnadze; Vienna, November 6, 1986, 8:05–9:40 a.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d7.

კოვთან დიალოგის ფორმა. 1985 წლიდან მოყოლებული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა წარმატებით, ვენის სამიტის შემდეგ კი ორივე მხარე უფრო ბიუროკრატიულად მიუდგა საკითხს. პროგრესი ადამიანის უფლებებისა და რეგიონალური საკითხების შესახებ გახდა უფრო ბუნდოვანი, თუმცა საბჭოთა კავშირს მოუწია დათანხმებულიყო, რომ ეს საკითხები იქნებოდა აუცილებლად განხილული მომავალში. ვენაში სსრკ აშკარად უფრო დაინტერესებული იყო პროპაგანდისტური თამაშებით, ვიდრე სერიოზული მოლაპარაკებებით. აშშ-ს მთავარ მიზანს კი წარმოადგენდა შეთანხმების მიღწევა START-ისა და INF-ის შესახებ. ორივე მხარე თანხმდებოდა განიარაღების 10 წლიან ვადაზე, თუმცა სტრატეგიული იარაღისა და საშუალო რადიუსისბირთვული იარაღის შემცირების რაოდენობაზე შეთანხმება მიღწეული არ იყო. აშშ-ს მიზანი იყო როგორმე დაეყოლიებინა სსრკ სტრატეგიული იარაღის 50%-მდე, ხოლო საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის სრულიად განადგურებაზე. ასევე მას სურდა 10 წლიანი პერიოდის მეორე 5 წელში 6000 ქობინამდე შემცირებულიყო სტრატეგიული თავდაცვის ძალების შეიარაღება.[27]

5-6 ნოემბერს შულცისა და შევარდნაძის მოლაპარაკებები ვენაში კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა. 13 ნოემბერს პოლიტბიუროს სხდომაზე შევარდნაძემ განაცხადა, რომ შულცმა არ მიიღო მისი შეთავაზება, განეხილათ რა იყო მისაღები ანტიბალისტიკურ შეთანხმებაში და რა- არა. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მათ მიერ რეიკიავიკში გაჟღერებული იდეა იყო ძლავრი იარაღი და საბჭოელები თანმიმდევრულად უნდა გაჰყოლოდნენ ამ სტრატეგიულ ხაზს. მათ არ უნდა დაეკარგათ დრო და ყოველგვარი აჩქარების გარეშე საქმე წინ უნდა წაეწიათ; რაც მთავარია, არ უნდა გადახრილიყვენენ პოზიციიდან და არ უნდა მოქცეულიყვენენ ზეწოლის ქვეშ.[28]

1986 წლის მიწურულისთვის ნათლად გამოიკვეთა, რომ რეიკიავიკის სამიტზე მიღწეული შეთანხმება ორივე მხარისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას. ორივე სახელმწიფოს მმართველი ისტებლიშმენტი საუბრობდა ისლანდიის დედაქა-

[27] Office of the historian; Memorandum From Secretary of State Shultz to President Reagan; Washington, November 14,1986; *https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d8*.

[28] Anatoly Chernyaev. Notes from Politburo Session. November 13, 1986. National Security Archive Electronic; Briefing Book No. 203. http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/Document26.pdf.

ლაქში მიღწეული შედეგების შენარჩუნების აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, კვლავ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მთელ რიგ საკითხებს განსხვავებულად აღიქვამდნენ და შესაბამისად, განსხვავებულად ესახებოდათ მათი გადაჭრის გზებიც. გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომ არც ერთი მათგანის საშინაო მდგომარეობა მაინც და მაინც სახარბიელო არ იყო: საბჭოთა კავშირს ქვეყნის შიგნით ჰქონდა მწვავე ეკონომიკურ პრობლემები, ხოლო შეერთებულ შტატებს დიდი ზიანი მიაყენა „ირან-კონტრას სკანდალმა.“ ამიტომ რეიგანსაც და გორბაჩოვსაც სჭირდებოდათ მიღწეული შეთანხმების შენარჩუნება. ეს ვითარება ნათლად აჩვენა 1987 წლის ვაშინგტონის სამიტმა, რომელსაც შემდგომ თავში განვიხილავთ.

თავი II. აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანისა და საბჭოთა გენერალური მდივნის გორბაჩოვის შეხვედრა ვაშინგტონში, 1987 წლის 8-10 დეკემბერი

§2.1. ვაშინგტონის სამიტის წინა პერიოდი

1987 წლის გაზაფხულიდან მიმდინარეობდა მზადება შეერთებულ შტატებშიც და საბჭოთა კავშირშიც სამომავლოდ მოლაპარაკებების გაგრძელებისთვის. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ორივე სახელმწიფოში შიდა პოლიტიკური მდგომარეობა იყო დაძაბული, აშშ-ში მძვინვარებდა ირან-კონტრას სკანდალი, რაც დიდ პრობლემებს უქმნიდა რეიგანის ადმინისტრაციასა და გარემოცვას, ხოლო სსრკ კი ეკონომიკური პრობლემების წინაზე იდგა, რაც ასევე გორბაჩოვისათვის ქმნიდა არასახარბიელო მდგომარეობას ქვეყნის შიგნით. გამომდინარე ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობდან ორივე ქვეყნის ლიდერის ინტერესებში შედიოდა შეთანხმების მიღწევა და სიტუაციის დასტაბილურება. შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო მდივანის, შულცის ვიზიტი მოსკოვში ახალ ფაზაზე გადაიყვანდა საერთაშორისო ურთიერთობებს საბჭოთა კავშირთან. მას შემდეგ რაც რეიკიავიკის სამიტზე რეიგანი არ გაება გორბაჩოვის მახეში და არაფრით არ დათმო პოზიცია სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივასთან დაკავშიერბით გენერალური მდივანი კვლავ განაგრძობდა გავლენის მოხდენას აშშ-ს პოზიციაზე და ცდილობდა გაენადგურებინა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა. რისთვისაც თავის სასარგებლოდ იყენებდა აშშ-ს გარშემო ატეხილ ირან-კონტრას სკანდალს, რეიგანის გარემოცვას ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ჰქონდა გაანალიზებული, სწორედ ამიტომ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეგვარებინა და გაეკონტროლებინათ მათ გარშემო არსებული მდგომარეობა. 1987 წლის 6 აპრილს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის ასისტენტი კარლუჩი პირადად შეხვდა რეიგანს. შეხვედრაზე განხილულ იქნა აშშ-სსკრ-ს დიპლომატიური ურთიერთობების სამომავალო პერსპექტივები. გადაწყდა, რომ აპრილის თვეში სახელმწიფო მდივანი შულცი უნდა წვეოდა მოსკოვს და პირადად შეხვედროდა საბჭო-

თა საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძეს საშუალო რადიუსის ბირთვული შეიარაღების შეთანხმების თაობაზე სასაუბროდ.[29] პრეზიდენტ რეიგანის მმართველობის დროს, აშშ-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობები გამოირჩეოდა აღმავლობით, მაგრამ ამავე დროს ჩავარდნებითაც. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე (კორეის ავიახაზების დახურვა, დანილოვის დაპატიმრება, სსრკ-ს შეჭრა მოსკოვში მდებარე აშშ-ს საელჩოში) სახელმწიფო მდივან შულცს მიაჩნდა, რომ საბჭოთა მხარესთან მოლაპარაკება რთული იქნებოდა. სსრკ აფასებდა სიტუაციას და განსხვავებულ შესაძლებლობებს განიხილავდა, ისევე როგორც რეიკიავიკში. აშშ-სთვის მთავარი მნიშვნელობის მქონე საკითხად კვლავ სტრატეგიული თავდაცვა უნდა დარჩენილიყო, ამიტომ შეთანხმების მისაღწევად მეტი სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. შულცი ასევე ფიქრობდა, რომ შევარდნაძესთან სამომავლოდ დაგეგმილი შეხვედრისას ადამიანთა უფლებების განხილვაც უფრო ღრმა ფაზაზე უნდა გადასულიყო, მაგ: უნდა ესაუბრათ რელიგიური ნიშნით დაპატიმრებულ მოქალაქეებზე, ფოსტის თავისუფლებაზე, სხვადასხვა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციისა თუ მედიის საკითხებზე და არასამთავრობო ჯგუფების თავისუფლებაზე, რომელთა ღია ჩართულობაც იქნებოდა აშშ-სთვის ბერკეტი.[30]

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანის მოსკოვში გამგზავრებამდე, 1987 წლის 10 აპრილს პრეზიდენტმა რეიგანმა წერილი მისწერა გენერალურ მდივან გორბაჩოვს. საკმაოდ დიდი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც ის და გორბაჩოვი ერთმანეთს შეხვდნენ პირისპირ. პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ შულცის ვიზიტი მოსკოვში მათი დიალოგის შეჯამების საშუალებას მისცემდათ. რეიგანი იმედოვნებდა, რომ სსრკ და აშშ გააგრძელებდნენ დიალოგის რეჟიმში ურთიერთობას, რათა მომავალში ყოფილიყო მშვიდობა და კეთილდღეობა მათი ხალხისა და მსოფლიოსათვის. „იარაღის შემცირების შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს რთულად, რადგან სამხედრო კონკურენ-

[29] Office From the President's Assistant for National Security Affairs (Carlucci) to President Reagan; Washington, April 6, 1987; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d34.

[30] Office of the historian; Electronic Message From Fritz Ermarth of the National Security Council Staff to Sandra Kelly of the National Security Council Staff; Washington, April 7, 1987, 3:09 p.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d35.

ციის გამო ჩვენს მთავრობებს შორის უნდობლობაა, თუ კი ეს უნდობლობა გაქრება მოლაპარაკებები ბევრად მარტივად წარიმართება“ – წერდა ამერიკის პრეზიდენტი. იგი ფიქრობდა, რომ შულცის ვიზიტი გააუმჯობესებდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს და განიარაღების საკითხში მიიღწეოდა პროგრესი.[31]

1987 წლის 13-15 აპრილს შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შულცისა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის პირისპირ შეხვედრა. მხარეებმა, პირველ რიგში განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა, სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ თქვა, რომ მიესალმებოდა ორივე ქვეყნის სწრაფვას მიეღწიათ პროგრესისათვის სსრკ-აშშ-ს საერთაშორისო ურთიერთობებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბირთვული ომის, ბირთვული იარაღისა და სტრატეგიული თავდაცვის საკითხებზე უკვე გადადგმული იყო და საბჭოთა კავშირი მოხარული იქნებოდა მიღწეულიყო საბოლოო შეთანხმებაც მითუმეტეს, რომ ორივე ქვეყანა თანაბრად იყო დაინტერესებული ამ საკითხით. შეხვედრის პირველი სესია შედგა 13 აპრილს. საუბარი წარიმართა საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების შემცირების თაობაზე, თუმცა შულცმა ასევე ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული თავდაცვის იარაღის შემცირებაზეც და თქვა რომ ეს საკითხი რჩებოდა პრობლემად, ამიტომ აუცილებელი იყო დაეთმოთ მისთვისაც დრო რათა პროგრესისათვის მიეღწიათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა.[32]

შეხვედრის პირველი პირების პირადი საუბარი კონსტრუქციულად წარიმართა, მათ განიხილეს სადაზვერვო საკითხებზე წამოქმნილი პრობლემები, ორმხრივი საკითხები და ადამიანის უფლებები. შევარდნაძემ გამოთქვა იდეა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც გამართავდა დამატებით შეხვედრებსა და დისკუსიებს იარაღის კონტროლის საკითხზე დისკუსიის შედეგებს კი მოახსენებდნენ სახელმწიფო მდივანსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. შულცს იდეა მოეწონა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც აშშ-ს მხარეს წარმოადგენდნენ ელჩები რიდვეი და ნიჩშე, ხოლო სსრკ-ს კი საგარეო საქმეთა

[31] Office of the historian; Letter From President Reagan to Soviet General Secretary Gorbachev; Washington, April 10, 1987; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d37.

[32] Office of the historian; Memorandum of Conversation; Moscow, April 13, 1987, 11:30 a.m.-1:25 p.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d38

მინისტრის მოადგილე ბესმერტნიხი და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ბირთვული იარაღის მოლაპარაკებების საკითხებში კარპოვი. სახელმწიფო მდივანმა შულცმა დღის წესრიგში დააყენა მოკლე და საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების შემცირების საკითხი და თქვა: „ის ფაქტი, რომ ჩვენ ვაპირებთ მოკლე და საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების მასიურ შემცირებას ან საერთოდ აღმოფხვრას ანიჭებს მას დიდ მნიშვნელობას“.[33]

აშშ-ს პოზიცია მოლაპარაკებების დასაწყისიდანვე იყო და ახლაც უცვლელი რჩებოდა, რომ სტრატეგიული თავდაცვა გამხდარიყო გრძელი და საშუალო რადიუსის მქონე რაკეტების შესახებ შეთანხმების ნაწილი. იმ შემთხვევაში თუკი საბჭოთა მხარე ამ წინადადებას დაეთანხმებოდა შეთანხმება მიიღწეოდა. ხოლო შეთანხმების მიღწევიდან 6 თვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო მისი აღსრულება. საბჭოთა კავშირის პოზიციით, ევროპაში სრულიად უნდა აღმოფხვრილიყო, ხოლო სსრკ-სა და აშშ-ში 100-მდე შემცირებულიყო საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტები, გარდა ამისა, ორივე მხარეს რაკეტები ისე უნდა განელაგებინათ, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ერთმანეთისათვის ზიანის მიყენება. ხელშეკრულების ამ პირობებით მიღება საბჭოთა მხარისათვის არც თუ ისე მომგებიანი იყო, ვინაიდან მას ჰქონდა ბირთვული არსენალი საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში განლაგებული, შესაბამისად ადვილი არ იყო საბჭოთა კავშირის დაყოლიება წასულიყო დათმობაზე, მიუხედავად ამისა, შეთანხმება საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით შედგა.

ამის შემდეგ, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა მოსაზრება მხარეებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკებები ოპერატიულ-ტაქტიკური ან მოკლე რადიუსზე მოქმედი რაკეტების შემცირებისა და აღმოფხვრის თაობაზე. მას შემდეგ რაც ხელი მოეწერებოდა საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირს ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები უნდა ამოეღო გდრ-დან და ჩეხოსლოვაკიიდან, როგორც ეს გორბაჩოვს ჰქონდა ნათქვამი. ასევე მოკლე რადიუსზე მოქმედი ბირთვული იარაღი ევროპის ტერიტორიაზე საერთოდ უნდა განადგურებუ-

[33] Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meetings; Moscow, April 13, 1987; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d39.

ლიყო. საბჭოთა მხარე მზად იყო განეხილა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შეზღუდვის საკითხი აზიაში, როგორც სსრკ-სათვის ასევე აშშ-სათვის. განსახილველი რჩებოდა ასევე მოკლე და გრძელ რადიუსზე მოქმედი რაკეტებისა და სტრატეგიული იარაღის შემცირების საკითხი. რეიკიავიკში გორბაჩოვი და პრეზიდენტი რეიგანი შეთანხმდნენ სტრატეგიული იარაღის 50%-მდე შემცირებაზე და ძირითად საკითხებზე, ახლა კი საჭირო იყო დეტალებზე შეთანხმება.[34]

14 აპრილს დილით, სახელმწიფო მდივანი შულცი შეხვდა კომუნისტური პარტიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლაი რუჟკოვს. შეხვედრამდე შევარდნაძემ რუჟკოვს გააცნო წინა დღის შეხვედრის დეტალები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შულცის შეხვედრის მიზანი იყო განეხილათ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხები და ამ ორი ქვეყნის შიდა ეკონომიკური სიტუაცია და მისი განვითარების პერსპექტივები. მას შემდეგ, რაც გორბაჩოვი გახდა გენერალური მდივანი, 2 წლის განმავლობაში საბჭოთა მხარემ ძირითად საკითხებზე რამდენადმე შეცვალა პოზიცია. რუჟკოვმა გაიხსენა 1986 წელს მდივანთან დისკუსია სტოკჰოლმში, სადაც მათ განიხილეს ეკონომიკური საკითხები. შულცს მიაჩნდა, რომ სტაბილურობა, ნაკლები კონფრონტაცია და ნდობა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები როგორც ეკონომიკური ასევე სხვა პრობლემების გადაჭრისათვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასევე როგორც რაოდენობა, ისე ხარისხი იმ კონტრაქტებისა ადამიანის უფლებების შესახებ, რომელსაც ორივე სახელმწიფო მოაწერდა ხელს. სახელმწიფო მდივანი თვლიდა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანურ კაპიტალს, შესაბამისად არც ერთ მხარეს ადამიანურ ტალანტზე მონოპოლია არ უნდა ჰქონოდა.[35]

ამ დროისათვის საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა პერესტროიკა, ჩნდებოდა კითხვები საბჭოთა კავშირის მიმართ თუ რატომ აირჩიეს მათ ეს კურსი. რიჟკოვმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ პერესტროიკის წყა-

[34] Office of the historian; Memorandum of Conversation; Moscow, April 13, 1987, 11:30 a.m.-1:25 p.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d38.

[35] Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Meeting with Chairman of the Council of Ministers Ryzhkov; Moscow, Tuesday, April 14; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d41.

ლობით, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ საკითხებში წინსვლა ჰქონდათ და რომ მათმა სოციალისტურმა სისტემამ გაამართლა. საზღვარგარეთის ეკონომიკური მოდელის შესწავლა და განხილვაც მიმდინარეობდა საბჭოებში. პერესტროიკა შეეხო ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს მათ შორის მედიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მართალია, საზღვარგარეთ პერესტროიკას ჰყავდა ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ ეს სპეკულაციები იმ ხალხისგან მოდიოდა , ვინც საბჭოთა კავშირს ცუდად მოიხსენიებდა, ნორმალური თვალთახედვით კი ამ ფორმულას არ ჰყავდა მოწინააღმდეგე ასე მიაჩნდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. რუჟკოვი თვლიდა, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი დგას ურთიერთობების გზაჯვარედინზე, ადრე თუ გვიან დასავლეთმა უნდა გადაწყვიტოს და უპირატესობა ორი კურსიდან ერთ-ერთს მიანიჭოს. პირველი, საერთოდ შეწყვიტოს ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ან საბჭოთა მეორე კავშირი და მისი სოციალისტური მიდგომა აღიაროს მსოფლიო ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილად და ეკონომიკურ პარტნიორად. რა თქმა უნდა, სსრკ მეორე კურსის არჩევას მიესალმებდა. აშშ-ს პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით იყო მკაფიო, მათ ღიად დააფიქსირეს, რომ მზად იყვნენ ეკონომიკური კავშირებისათვის და ერთობლივი, ორმხრივი ვაჭრობისათვის.[36]

შულცი მოსკოვში ვიზიტისას პირადად შეხვდა გენერალურ მდივან გორბაჩოვსაც. შეხვედრა გაიმართა 14 აპრილს შუადღით კრემლში. მას შემდეგ რაც სახელმწიფო მდივანმა პრეზიდენტი რეიგანის წერილი გადასცა გორბაჩოვს, საუბარი დაიწყო ე.წ ჯაშუშების საქმის ხსენებით, ამ სკანდალის გამო შეერთებული შტატების 70 სენატორი შულცის ვიზიტის წინააღმდეგიც კი იყო მოსკოვში. სახელმწიფო მდივანმა უთხრა გორბაჩოვს, რომ აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ხელს სწორედ ჯაშუშების სკანდალი უშლიდა. რაზეც გენერალური მდივნისაგან მიიღო პასუხი, რომ თუ საქმე ჯაშუშობას ეხებოდა აშშ-ს ვერავინ აჯობებდა და რომ ისინი ამ საქმეს სსრკ-ზე 10-ჯერ უკეთესად გააკეთებდნენ. შულცმა გორბაჩოვს ჰკითხა შეეძლო თუ არა მას პრეზი-

[36] Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Meeting with Chairman of the Council of Ministers Ryzhkov; Moscow, Tuesday, April 14; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d41.

დენტისთვის ეთქვა, რომ აშშ-ს საელჩოში შეღწევის ბრძანება გენერალურ მდივანს არ გაუცია , რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.[37]

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა იყო უკმაყოფილო შეერთებული შტატების დამოკიდებულებით მათდამი. გორბაჩოვი ღიად აფიქსირებდა, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია საერთოდ უგულებელყოფდა სსრკ-ს მიღწევებს ჩამოეყალიბებინა ჯანსაღი საზოგადოება. მან ხაზი გაუსვა, რომ სსრკ-მ ძალიან ბევრი რამ გააკეთა არა მხოლოდ საკუთარი ხალხისათვის არამედ აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის, რომ აშშ-ს ადმინისტრაციის არცერთ წევრს ამხელა ენთუზიაზმი არ გამოუჩენია, ამიტომ დრო იყო აშშ-ს მკაფიოდ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.[38]

შევარდნაძე-შულცის შეხვედრის მესამე პლენარული სესია გაიმართა 14 აპრილს, დილის 9:35 წუთიდან. შეხვედრა გახსნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა. გამომდინარე იქიდან, რომ შეთანხმება მიღწეული იყო საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტებისა და ვერიფიკაციის საკითხებზე ასევე წინსვლა იყო ატომური იარაღის დატესტვისა და ქიმიური იარაღის თაობაზეც, დღის წესრიგში დადგა რეგიონული საკითხების განხილვა. სსრკ-მ დააყენა საკითხი ესაუბრათ ირან-ერაყის ომზე. მათ ჰქონდათ კომპლექსური შეხედულება შუა აღმოსავლეთის სიტუაციაზე და ამის განხილვა სურდათ. აშშ-ს თავის მხრივ, ძალიან დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა რეგიონში. საბჭოთა კავშირი გამოვიდა ინიციატივით ჩატარებულიყო საერთაშორისო კონფერენცია, იმ არგუმენტით, რომ მას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა მის საზღვრებთან მიმდინარე მოვლენები. სსრკ-ს მხრიდან კონფერენციის ჩატარების დაჟინებული მოთხოვნა ორი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველი, ცალცალკე მიღწეული შეთანხმებები ართულებდა საკითხს, ერთი მოლაპარაკების მაგიდასთან კი უფრო მარტივი იქნებოდა საკითხის მოგვარება. მეორე, სპარსეთის ყურეში ომის მოსალოდნელი შედეგები ძალიან იზრდებოდა და რთულდებოდა, დაყოვნების დრო კი არ იყო. კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც ევროპულ ისე აღმო-

[37] Office of the historian; Memorandum of Conversation; The Secretary's Meeting with Gorbachev; Moscow, April 14, 1987, 3–7:25 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d42.

[38] Office of the historian; Memorandum of Conversation; The Secretary's Meeting with Gorbachev; Moscow, April 14, 1987, 3–7:25 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d42

სავლირ სახელმწიფოებს, მათ შორის ისრაელს, სირიას, პალესტინასა და იორდანიას ექნებოდათ ძალიან აქტიური როლი ამ პროცესში.[39]

საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას მხარს უჭერდა არაბების უმრავლესობა, დადებითად იყვნენ განწყობილი ისრაელშიც, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთიც ემხრობოდა მას, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, აშშ-ს პოზიცია იყო მხოლოდ გაურკვეველი. შეერთებულ შტატებს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან, ისევე როგორც სსრკს, აქედან გამომდინარე ორივე სახელმწიფოს შეეძლო ისე წარემართა მოვლენები, რომ კონფერენციას შედეგი გამოეღო. თუკი რაიმე სასწაულის წყალობით, არაბებსა და ისრაელს შორის კონფლიქტი მოგვარდებოდა ძალიან დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო ეკონომიკის განვითარებისათვის ამ ქვეყნებში. სირიის ეკონომიკა დანგრეული იყო, იორდანიის სულ ოდნავ უფრო უკეთესი, ცუდ მდგომარეობაში იყო ასევე ეგვიპტის ეკონომიკაც. მაგრამ თუკი მოსაზღვრე ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობას განაახლებდნენ იქნებ მდგომარეობა გამოსწორებულიყო კიდეც. საბჭოთა კავშირი და აშშ ვერ თანხმდებოდნენ ავღანეთის საკითხზეც. შევარდნაძე ფიქრობდა, რომ შეერთებული შტატები უნდა დახმარებოდა პაკისტანს, საკითხები უნდა მოეგვარებინა ავღანელ ლტოლვილებთან და დახმარებოდა ავღანეთს ნამდვილი დემოკრატიის დამყარებაში. სსრკ არ იყო წინააღმდეგი ავღანეთის ტერიტორიაზე აშშ-ს პოლიტიკური კონტრიბუციის, მაგრამ სამაგიეროდ, წინააღმდეგი იყო იმ სამხედრო დანაყოფების მძიმედ შეიარაღების, რომელსაც შეერთებული შტატები ავღანეთში შეიყვანდა.

ავღანეთი არ იყო ერთადერთი საკითხი, რაზეც სამწუხაროდ, აშშ-მ და სსრკ-მ შეთანხმება ვერ მოახერხეს, მხარეებს სხვადასხვა პოზიცია ჰქონდათ ეთიოპიის, ანგოლისა და ნიკარაგუას თაობაზეც. შევარდნაძე თვლიდა, რომ ამ ქვეყნებში მთავრობები ლეგიტიმურად იყვნენ ხელისუფლების სათავეში მოსული, სწორედ ამიტომ მისთვის გაუგებარი იყო რატომ სურდა შეერთებულ შტატებს მათ მთავრობებში სხვა ხალხის მოყვა-

[39] Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Third Plenary Meeting with Shevardnadze; Moscow, April 14, 1987, 9:35–11:55 p.m; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d44.

ნა.[40]

შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კაბშირის დიპლომატიური ურთიერთობები მთელი 1987 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ქვეყნების საგარეო უწყების თანამდებობის პირების დონეზე, ისე, რომ პირველი პირები ერთმანეთს წლის ბოლომდე არ შეხვედრილან პირადად. სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანის შულცის შეხვედრა შედგა 5-ჯერ. აპრილში, როგორც უკვე, ზემოთ განვიხილეთ, შულცი იმყოფებოდა ვიზიტით მოსკოვში, 15 სექტემბერს კი შევარდნაძე საპასუხო ვიზიტით ვაშინგტონში ჩავიდა, სადაც რეიგანთან და შულცთან გამართა მოლაპარაკებები, 24 სექტემბერს სპარსეთის ყურის საკითხების თაობაზე ისევ შეხვდნენ ერთმანეთს შულცი და შევარდნაზე ამჯერად უკვე ნიუ იორკში. ოქტომბრის თვეში შულცი მეორედ ესტუმრა მოსკოვს, 1987 წლის ნოემბერში კი შეხვედრის ადგილად შეირჩა ნეიტრალური ტერიტორია, კონკრეტულად, ჟენევა.

1987 წლის 23 ნოემბერს ჟენევაში გაიხსნა სამიტი. შეხვედრაზე განსახილველი თემებიდან პრიორიტეტული იყო საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული ძალების შესახებ შეთანხმება. მხოლოდ ყველა დეტალის გავლის შემდეგ უნდა გადასულიყვნენ მხარეები თავდასხმითი შეიარაღების შემცირების, ანტიბალისტიკური რაკეტების, რეგიონალური საკითხებისა და გორბაჩოვის ვაშინგტონში ვიზიტის განრიგის განხილვაზე. სამიტზე დრო დაეთმო ss20-სა და ss-25-ს შორის განხვავებებსაც, ვინაიდან შევარდნაძე ითხოვდა დაწვრილებით ყოფილიყო შეთანხმებული რომელ ბირთვულ იარაღზე იყო საუბარი რადგან ეს ორი სახეობა ძალიან გავდა ერთმანეთს და ცდომილება არ მომხდარიყო. შეხვედრის პირველი სესია დასრულდა ამ დეტალების განხილვით.[41]

მეორე დღეს, 24 ნოემბერს მხარეები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად საუბარი წარიმართა ბირთვული შეიარაღების ხელშეკრულების თაობაზე ევროპასთან მიმართებით. ასევე, ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მოქნილობის

---

[40] Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Third Plenary Meeting with Shevardnadze; Moscow, April 14, 1987, 9:35–11:55 p.m; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d44

[41] Office of the historian; Memorandum of Conversation; Organizational matters, INF, summit planning; Geneva, November 23, 1987, 10:15 a.m.–1:50 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d98.

პრობლემებიც დადგა დღის წესრიგში. შულცმა და შევარდნაძემ განიხილეს რეგიონში არსებული დაძაბული მდგომარეობაც, (ავღანეთი, შუა აღმოსავლეთი, სპარსეთის ყურე).[42] შუადღით არაფორმალური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა შედგა მდივანის წყნარი ოკეანის სამხრეთით მიღებული გამოცდილებისა. შემდეგ კი ისევ დაუბრუნდნენ ss-20 ის საკითხს. აშშ-მ გადაწყვიტა წასულიყო დათმობაზე და დათანხმებოდა საბჭოთა შეთავაზებას ინსპექტორების თაობაზე, ვინაიდან მათ უკეთ ესმოდათ განსხვავებები ss-20-სა და ss-25-ს შორის. ვინაიდან ეს ორი რაკეტა თანადროულად იწარმოებოდა, მათ ბევრი საერთო ჰქონდათ, რაც ნამდვილად საჭიროებდა დაკვირვებას. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ დაკვირვება განხორციელდებოდა მაშინ, როდესაც რაკეტები ქარხანაში იწარმოებოდა ანუ უშუალოდ წარმოების პროცესის დაკვირვება მოხდებოდა, რაც ორივე მხარსაბოლოოდ, 24 ნოემბრის საღამოს ანტიბალისტიკური რაკეტების თაობაზე შეთანხმების ყველა პუნქტი განხილულ იქნება და კონსესუსი შედგა. შეთანხმება მოიცავდა პირობებს, რომელსაც ორივე მხარე ეთანხმებოდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი, რომლის განმავლობაშიც არცერთ მხარეს არ ექნებოდა შესაძლებლობა ხელშეკრულებიდან გასულიყო. 10 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ კი მხარეები თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობებისაგან.[43] ისათვის მისაღები იყო.[44] 1987 წლის დეკემბერში გადაწყდა სსრკ-ს გენერალური მდივანის გორბაჩოვისა და აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანის პირისპირ შეხვედრა. დეკემბრის სამიტი და ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ შეთანხმება იყო შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და გორბაჩოვის ხელისუფლების ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს სტრატეგიისადმი არსებობდა კითხვები. გორბაჩოვის თამაშის გეგმა უფრო გრძელ ვადაზე იყო გათვლილი, რაც მას და სსრკ-ს მეტს სარგებელს მოუტანდა. მისი სტრატე-

[42] Office of the historian; Memorandum of Conversation; Summit schedule, INF ; Geneva, November 24, 1987, 10:20 a.m.–1:05 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d100.
[43] Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, November 24 Afternoon; Geneva, November 24, 1987, 4:15–4:55 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d101.
[44] Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting,; Geneva, November 24, 1987, 5:05–5:40 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d102.

გიულად გრძელი გათვლები მთელს სამიტს გასდევდა ფონად.[45]

ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში ძირეული გარდაქმნები ხდებოდა, როგორც ეკონომიკური, ისე დიპლომატიური თვალსაზრისით. ეკონომიკის მოდერნიზაციის მთავარი მიზანი საბჭოებისათვის იყო ქვეყანა ექციათ ისეთად, როგორიც ის იყო პეტრე პირველის დროს. გორბაჩოვი ყველანაირად ცდილობდა ექცია სსრკ უფრო კონკურენტუნარიან ქვეყნად, რის ერთ-ერთ საშუალებად დიპლომატია და აშშ-სთან საერთაშორისო ურთიერთობების მოგვარება მიაჩნდა.

§2.2. ვაშინგტონის სამიტი

1987 წლის 7 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დელეგაცია გენერალური მდივანის გორბაჩოვისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის მეთაურობით ჩავიდა ვაშინგტონში, სადაც იმყოფებოდა 11 დეკემბრამდე. სამიტის განმავლობაში შედგა რამდენიმე შეხვედრა როგორც პრეზიდენტ რეიგანსა და გორბაჩოვს შორის ასევე შულცსა და შევარდნაძეს შორის.

სამიტის პირველი შეხვედრა დაიწყო საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების ხელშეკრულების განხილვით შევარდნაძეს და შულცს შორის, ხელშეკრულება თითქმის უკვე მზად იყო ხელმოსაწერად, მხოლოდ 1 საკითხი რჩებოდა ბუნდოვანი და საჭიროებდა დაზუსტებას. შეთანხმების თანახმად, აშშ-ს უნდა წარმოედგინა რაკეტების, სატყორცნი დანადგარებისა და დამხმარე აღჭურვილობის ფოტოები, თუმცა აშშ-ს ss-20-ის სურათი არ ჰქონდა. მხარეებმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს ss-20-სა და ss-25-ს შორის განსხვავებების განხილვას, რათა არ მომხდარიყო არევა.[46]

გორბაჩოვსა და პრეზიდენტ რეიგანს შორის შეხვედრა შედგა 8 დეკემბერს დილით, „ოვალურ კაბინეტში“. 15 წუთის განმავლობაში ქვეყნების პირველმა პირებმა ისა-

---

[45] Office of the historian; Memorandum From Director of Central Intelligence Webster to President Reagan; Washington, November 24, 1987; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d103.

[46]. *Office of the historian;* Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting December 7 Evening; *Washington*, *December 7, 1987, 6:30–7:15 p.m; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d105*

უბრეს კამერების წინ, ხოლო პირისპირ ერთი-ერთზე საუბარი 11:00 საათიდან დაიწყო. პირველი შეხვედრის განხილვის თემა იყო ძირითადად იმიგრაციასა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე გორბაჩოვის ინიციატივით მოლაპარაკებები წარიმართა ბირთვულ ტესტირებასთან დაკავშირებითაც, კონკრეტულად კი ტესტირების მონიტორინგზე, რომ ექსპერტებს უნდა გაეკონტოლებინათ ტესტირების საზღვრები. თავის მხრივ, პრეზიდენტმა გენერალურ მდივანს გადასცა დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების, თავდაცვისა და კოსმოსური სივრცის შესახებ მთელ რიგ საკითხებს. შეხვედრის დასასრულს ორივე მხარე შეთანხმდა, რომ შეიქმნებოდა ორი სამუშაო ჯგუფი, ერთი მათგანი განიხილავდა დღის წესრიგში მყოფ საკითხებს, ხოლო მეორე კი შეიარაღების კონტროლს.[47] შეხვედრის მეორე სესიაზე ორივე მხარემ დაიწყო მთავარი პრობლემის განხილვა, რომელსაც წარმოადგენდა ბირთვული იარაღის შემცირება. განიხილებოდა ქიმიური და ტრადიციული, ჩვეულებრივი იარაღებიც. თემამ წინა პლანზე გადაინაცვლა. პანიკის საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ საბჭოთა მხარე შეფასების პროცესში იყო, აყენებდა თუ არა ეს ზიანს თანასწორობას ან უსაფრთხოების ბალანსს. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა თვლიდა, რომ ევროპა იმედოვნებდა, მოსკოვი სათანადო ყურადღებას მიაქცევდა როგორც შეიარაღების ჩვეულებრივ სახეობებს, ასევე ბირთვულ იარაღსაც, ამიტომ საჭირო იყო პრეზიდენტთან ამ თემების განხილვაც. გორბაჩოვი შეეხო ბრიტანულ და ფრანგულ სამხედრო ძალებსა და სარაკეტო იარაღებს ევროპასა და აზიაში. რეიკიავიკში უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ თითოეულ მხარეს შეეძლო დაეტოვებინა 100 ქობინი, საბჭოთა ქობინებით აზიაში. დასავლეთში შეიარაღებულ ძალებში უპირატესობა ჰქონდა საბჭოთა მხარეს, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ნატოს. ორივე მხარე თავისებურად მართალი იყო და შესაფერისი დამამტკიცებელი მონაცემებიც მოჰყავდათ. არსებული ასიმეტრია იწვევდა წინააღმდეგობებს, ამიტომ საჭირო იყო დამსხდარიყვნენ, განეხილათ საკითხი

[47] Office of the historian; Memorandum of Conversation; Meeting with General Secretary Mikhail Gorbachev of the USSR (U); Washington, December 8, 1987, 10:45 a.m.–12:30 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d107.

და მიეღწიათ შეთანხმებისათვის.[48]

არსებოდა კითხვა სამხედრო დოქტრინების შესახებ, მხარეებს უნდა განესაზღვრათ საკმარისობის არსი, რა რაოდენობა იყო საჭირო თავდაცვითი მიზნისთვის. ხელშეკრულენაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ ატმოსფერო, გარემო რომელიც შეიქმნა ხელმოწერისას. საბოლოო შეთანხმებას საერთო აზრი უნდა გამოეხატა, რაც მისაღები იქნებოდა როგორც მსოფლიოს, ასევე ევროპის მოსახლეობისათვის. აშშ-ს მხარეს მიაჩნდა, რომ ბირთვული იარაღის გასანადგურებლად, ჯერ ჩვეულებრივი იარაღის არსენალში უნდა ჰქონოდათ მხარეებს ბალანსი. ევროპაში, საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების განადგურების შემდეგ, ჟურნალისტურ და პოლიტიკურ წრეებში წარმოიშვებოდა კითხვები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამის კომპენსაცია, ამიტომ ორივე მხარეს ერთი პოზიცია უნდა დაეჭირა. ბევრი კითხვა იბადებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო სსრკ ასეთი გულუხვი აშშ-ს მიმართ, ხალხი კითხულობდა, როგორ უხრიდა ქედს გორბაჩოვი აშშ-ს. ანტი-ბალისტიკური რაკეტების შესახებ ორივე მხარე შეთანხმდა არა- გაწვევით პერიოდზე. თუ რომელიმე მხარე ამ შეთანხმებას დაარღვევდა, მაშინ მეორე მხარეს ექნებოდა უფლება განეახლებინა თავდაასხმითი იარაღების რიცხვის ზრდა, მეორე მხარეს უფლება ეძლეოდა დაესრულებინა მორატორიუმი ანტი-სატელიტურ იარაღზე, ანუ არამხოლოდ თავდასხმით იარაღებზე, არამედ ანტი-სატელიტური იარაღის წარმოებაზეც.[49]

მეორე დღეს 9 დეკემბერს შეხვედრა გახსნა პრეზიდენტმა უკვე განხილული ისეთი თემებით, როგორიცაა სტრატეგიულ სამხედრო შეტევებსა და თავდაცვას შორის მიმართებები. წინა დღით ორივე მხარის ექსპერტებს შორის შეხვედრა გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მათ განიხილეს ვერიფიკაციის საკითხი. ვერიფიკაციასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის პოზიცია ეყრდნობოდა იმას, რაც უკვე იცოდნენ შუალედური ბირთვული ძალების შესახებ მო-

---

[48] Office of the historian; Memorandum of Conversation; President's Meeting with Gorbachev, December 8 Afternoon; Washington, December 8, 1987, 2:30–3:15 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d108.

[49]. *Office of the historian;* Memorandum of Conversation; President's Meeting with Gorbachev, December 8 Afternoon; *Washington, December 8, 1987, 2:30–3:15 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d108*

ლაპარაკებებიდან. ასევე მნიშვნელოვანი იყო დათვლის წესებიც. პრეზიდენტს ამხნევებდა საბჭოთა მზაობა, რომ დაეთმოთ 4800-5100 ბალისტიკური რაკეტის ქობინი. პრეზიდენტი რეიგანი ცდილობდა გაერკვია იყო თუ არა შესაძლებელი შეთანხმება მიეღწიათ ხელშეკრულებაზე, რომელიც ამცირებდა სტრატეგიულ არსენალებს 50 პროცენტით და ინარჩუნებდა შესაძლებლობას ეფექტური სტრატეგიული თავდაცვისთვის. შემტევი სახის ბირთვული იარაღი 40 წლის მანძილზე ეხმარებოდათ მშვიდობის შენარჩუნებში. ახლა კი მომავალზე უნდა ეზრუნათ. შეერთებულ შტატებში სურდათ მშვიდობის გამყარება ახალი გზების პოვნით, არა შურისძიების მუქარით, არამედ იმ გზით, რომელიც იხსნიდა ადამიანთა სიცოცხლეს. სტრატეგიული არსენალის 50%-იანი შემცირება და თავდაცვის გაძლიერება ადამიანებს უსაფრთხოების რეალურ განცდას შეუქმნიდა. აშშ-ს მხარეს, სურდა, კიდევ ერთი შეთანხმება შესულიყო ძალაში სტარტის შეთანხმებასთან ერთად. ეს მეორე შეთანხმება მოიცავდა პერიოდს, რომლის განმავლობაშიც არცერთი მხარე არ განათავსებდა თავდაცვით სისტემებს, რომელიც იკრძალებოდა ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით. ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ორივე მხარე განთავისუფლდებოდა ზედმეტი განმარტებებისგან და შეეძლებოდა მიჰყოლოდა საკუთარ სტრატეგიული თავდაცვის პროგრამას. გორბაჩოვი ამას უწოდებდა ,,სტრატეგიულ სტაბილურობას". კოსმოსურ სივრცეზე ერთობლივი დაკვირვებით ორივე მხარე შეთანხმდა, რომ აშშ-ს ჰქონდა საკუთარი საჰაერო მიმოსვლა და შეეძლო ჩაეტარებინა საჰაერო სენსორული ექსპერიმენტი, თუმცა არა საბჭოთა საზღვრებთან ახლოს, რაც მოსკოვს სრულებით აკმაყოფილებდა. აშშ-მ უბიძგა საბჭოთა კავშირს, შეერთებოდა კოსმოსური სივრცის დაცვის ინიციატივის პროგრამას. გორბაჩოვმა ამ შეთავაზებაზე თქვა, რომ მანამ, სანამ მოსკოვს არ ექნებოდა კოსმოსური სივცრის დაცვის ინიციატივის განვითარების საკუთარი პროგრამა, აშშ-ს პრეზიდენტსაც უარი უნდა ეთქვა ამ პროგრამაზე, მაგრამ თუ აშშ წინ გაუსწრებდა მოვლენებს, საბჭოთა მხარემ ნათლად განუმარტა, რომ ის შეიმუშავებდა პასუხს, რომელიც იქნებოდა განსხვავებული კოსმოსური სივრცის დაცვის ინიციატივისგან. სამაგიეროდ დამტკიცდა საბჭოთა პროგრამა, რომელიც მსგავსი იყო კოსმოსური სივრცის დაცვის ინიციატივის პროგრამის, რაც იძლეოდა რეალური სტაბილურობის იმედს და არა ნგრევის საშიშ-

როებას.[50]

ავღანეთის საკითხი ერთ-ერთი მთავარი იყო აშშ-ს სიაში. სსრკ-ს სამხედრო შენაერთები უფრო მეტი იყო ამ რეგიონში, ვიდრე აშშ-ს. პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს ღრმა საუბრები ჰქონდათ ამ თემაზე. პრეზიდენტი მიესალმა გორბაჩოვის ინიციატივას ძალების გაყვანის შესახებ. ეს იქნებოდა ახალი ერის დასაწყისი. სამიტი იყო ზუსტად შესაფერისი დრო იმისთვის, რომ დაეთქვათ საბჭოთა ძალების გაწვევის თარიღი, ისე, რომ 1988 წლისთვის ყველა შენაერთს დაეტოვებინა ტერიტორია. ავღანეთის საკითხზე შეთანხმება რეალური გახდა, გადაწყდა, რომ ჯარების გაწვევის პირველივე დღიდან დარჩენილი ძალები თავდაცვის რეჟიმში გადაინაცვლებდნენ. სამიტზე ასევე უნდა განხილულიყო ირან-ერაყის ომის საკითხიც. ორივე მხარეს სჭირდებოდა დაბრუნებოდნენ თანამშრომლობის მოდელს, რომელიც აისახა 598-ე რეზოლუციაში. ერაყი ამ რეზოლუციის ყოველ ასპექტს ეთანხმებოდა, ხოლო ირანი ამას არ აკეთებდა. პრეზიდენტს და გორბაჩოვს მხარი უნდა დაეჭირათ და მონაწილეობა მიეღოთ პროცესებში, რათა ამას ჰქონოდა დადებითი გავლენა ომისა და უსაფრთხოების საბჭოს მომავალზე. ორივე მხარე შეჯერდა იმ აზრზე, რომ რეზოლუცია დაუყოვნებლივ აღსრულებულიყო. საბჭოთა მხარე ფიქრობდა, რომ საჭირო იყო დამატებითი ზომების მიღება, მათ შორის მეორე რეზოლუციის მიღება, რომელზეც ორივე მხარე მოილაპარაკებდა, რომ მისი შექმნის მიზანი განპირობებული იქნებოდა გენერალური მდივნისთვის დამატებითი მითითებების საჭიროებით. ეს რეზოლუცია არ იქნებოდა საჯარო. საჭირო იყო ირანზე ზეწოლა განხორციელებულიყო.[51] 598-ე რეზოლუციის ნაწილს ირანზეც ჰქონდა გავლენა. ამიტომ ლიდერებმა იფიქრეს, რომ შესაძლო იყო ემბარგოს დაწესება, თუმცა ამას შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოჰყოლოდა. როგორც ჩანდა, ირანი თამაშობდა და მასზე ნდობა არ შეიძლებოდა. ირანისთვის ბოიკოტის გამოცხადება შესაძლოა ომის დასრულებაში დახმარებოდათ. საბჭოთა მხარეს არ სურდა ამ რეგიონში აშშ-ს ინ-

[50] Office of the historian; Memorandum of Conversation; Washington, December 9, 1987, 10:55 a.m.–12:35 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d110.

[51] Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, December 9 Afternoon; Washington, December 9, 1987, 4:15–5:50 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d111.

ტერესებში ჩარეულიყო. მოსკოვს არ უნდოდა რეგიონში პრობლემები შეექმნა მისთვის და ამიტომაც იმედოვნებდა, რომ საერთო გამოსავალს იპოვნიდნენ. ერთადერთი, რისიც ეშინოდა სსრკ-ს ის იყო, რომ კუთხეში მომწყვდეულ ირანელებს შესაძლოა ექსტრემალური ზომებისთვის მიემართათ. საგულისხმო იყო მათი ლიდერის მიერ მოსახლეობის წაქეზების, დარწმუნების შესაძლებლობა. თუ მოსკოვი დარწმუნდებოდა, რომ 598 რეზოლუციის ხერხები არ იმუშავებდა, მხოლოდ მაშინ დაეთანხმებოდა მეორე რეზოლუციის ძალაში შესვლას.[52]

შეხვედრის ბოლოს სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ერთობლივი შეთანხმების მიღწევა. მისი აზრით, პრობლემა ორ ნაწილად იყოფოდა : ზოგად დონეზე კარგი იქნებოდა, რომ ორივე მხარეს ემუშავა რეგიონალური პრობლემის გადაჭრაზე. მაგ: ავღანეთის და ირან-ერაყის საკითხები განხილულიყო მინისტრების ან უფრო მაღალ დონეზე, ვინაიდან თუ საერთო ენის გამონახვა სურდათ რეგიონში მიმდინარე ყველა კონფლიქტურ სიტუაციაზე, ამას დიდი დრო დასჭირდებოდა.[53]

მხარეები შეეხნენ ცივი ომის სიმბოლოს, ბერლინის კედელსაც. პრეზიდენტმა თქვა, რომ მისი აზრით, გორბაჩოვს შეეძლო და უნდა დაენგრია კედელი. აშშ-ს და საბჭოთა კავშირს ძალიან პატარა, ფრთხილი ნაბიჯებით უნდა ემოქმედათ, რათა გამოეხატათ მზაობა ერთიანი ევროპის ნახვის. ბევრი კითხვა ჩნდებოდა საბჭოთა კავშირის მხარეს, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელი იყო. უფრო მეტი პრობლემა საბჭოთა მხარეს იყო, ვიდრე აშშ-ს მხარეს. სსრკ-ის წარმომადგენლობა ცდილობდა დარჩენილი, არსებული პრობლემების მოგვარებას. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა შულცმა და სსკს-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ 10 დეკემბრის შეხვედრაზე განიხილეს არსებული მდგომარეობა. საბჭოთა მხარეს სჭირდებოდა ნებართვა, რომ საელჩოს შენობაში დაეარსებინათ (შეექმნათ) ანტენა-მოწყობილობა, რომელიც მიიღებდა პირდაპირ

---

[52] Office of the historian; Memorandum of Conversation; Washington, December 9, 1987, 10:55 a.m.–12:35 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d110.

[53]. *Office of the historian;* Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, December 9 Afternoon; *Washington, December 9, 1987, 4:15–5:50 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d111*

რადიოსიგნალს. სურდათ საელჩოში არსებული ტელე ანტენის შეკეთებაზე აკრძალვის გაუქმება, რათა შეძლებოდათ აშშ-ს ტელე სიგნალის მიღება. პრობლემა იყო შეზღუდ-ვების მოხსნა ისეთი ნივთების შეძენაზე, რომელიც საელჩოში სხვადასხვა საქმის გასაკე-თებლად იყო საჭირო. მაშინდელი ლიმიტი ნივთების შესყიდვაზე 100$ ს წარმოადგენ-და. საბჭოთა მხარეს თხოვნა ქონდა აშშ-სადმი, რომ გაეუქმებინათ შეზღუდვა საშენი მა-სალების შეძენაზე, რომელიც საჭირო იყო საბჭოთა კავშირის საელჩოში. ასევე აშშ-ს უნდა მოეხსნა აკრძალვა საბჭოთა კავშირის საელჩოს პერსონალისთვის საჰაერო და სარკინიგზო ბილეთების შეძენაზე და საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა დაჯარიმებულიყვენ, როდესაც ისინი იქნებოდნენ საბჭოთა კავშირის ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე და იმ მიმდებარე ადგილებში, რომელიც შეთანხმდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. აშშ-ს მხარე კითხვებს ბადებდა. მათ გამოხატეს სურვილი, გაზრდილიყო იმ მუშათა რიცხვი, რომელიც იქნებოდა ნებადართული, სსრკ-ში აშშ- ს საელჩოს მშენებლობაზე. მაშინდელი მდგომარეობით აშშ-ს მხრიდან 75 ადამ-იანი იყო, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ოფიციალურად მხოლოდ 50 ადამიანს რთავდა უფლებას. შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო საკითხს საბჭოთა კავშირში დიპ-ლომატების ვიზიტის შესახებ. მაშინდელი მდგომარეობით, სსრკ დიპლომატების ნათე-სავებს ვიზიტის ნებას რთავდა. აშშ-ს მხარე გამოვიდა შეთავაზებით, რომ გამარტივებუ-ლიყო ვიზიტზე დაწესებული შეზღუდვები დიპლომატების მეგობრებთან და ნაცნობებ-თან დაკავშირებითაც.[54]

10 დეკემბერს დილით, აშშ-ს ვიცე პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში პირა-დად შეხვდა გორბაჩოვს არაფორმალურ გარემოში საუზმეზე. დისკუსიის ფორმატი სა-საუზმე მაგიდის გარშემო მეტად თავისუფალი იყო და ძნელად მისადევნებელი, რად-გან აზრთა გაცვლა მეტად არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობდა. მთავარი თემა, რომელზეც საუბარი წარიმართა იყო ენერგეტიკული საკითხები და ბირთვული ენერგი-ის წყაროების განვითარება. აშშ მხარს უჭერდა ბირთვულ ენერგიას, თუმცა ჩერნობილის კატასტროფამ გააძლიერა ეს პოლიტიკური პრობლემა. ბირთვული

[54] Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting; Washington, December 10, 1987, 8–9 a.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d112.

ენერგიის პროცენტულობა, რომელიც იწარმოებოდა აშშ-სა და სსრკ-ში თანაბარი იყო. განსხვავებით ბელგიისა და საფრანგეთისგან, რომლებიც თითქმის 80%-ს თავისი ენერგიისა აწარმოებდნენ ბირთვული წყაროებიდან.[55] თუ არაფერი შეიცვლებოდა საბოლოოდ, აშშ-ც და სსრკ-ც მიაღწევდნენ საფრანგეთისა და ბელგიის დონეს. თუ ბირთვული ძალების რეაქტორები საფრანგეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში განადგურდებოდა, ეს იქნებოდა ბირთვული ომის ერთ-ერთი სახეობა. ჩერნობილის პრობლემის აღმოფხვრა 4 მილიარდი რუბლი დაუჯდა საბჭოთა კავშირს და ეს არ იყო ჩერნობილის სიტუაციის ყველაზე უარესი მხარე. ასე რომ ის ფაქტი, რომ ვინმეს რაიმეს გაკეთება შეუძლია ბირთვული ომის დროს სრული აფსურდია. ამრიგად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო საგარეო საქმეთა მინისტრებს კონკრეტული შედეგები დაედოთ შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებისას.

აშშ-ს ჰქონდა შესაძლებლობა გადაეხედა ერთობლივი შეთანხმებისთვის. ვაშინგტონის სამიტზე შექმნილი სამუშაო დელეგაციები ფოკუსირებულნი იყვნენ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებაზე, თავდაცვასა და საჰაერო სივრცეზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს აშშ-ს მხარემ ვერ შეაფასა თუ რა პოზიცია ქონდათ მათ რეგიონალურ კონფლიქტებზე. მათ სურდა 2-3 მნიშვნელოვანი საკითხის ხაზგასმა. პირველყოვლისა, ეს რეგიონალური კონფლიქტები შფოთვის საფუძველს ქმნიდნენ, რადგან მათ აშშ-საბჭოთა ურთიერთობებში დაძაბულობა შექონდათ. საჭირო იყო ეპოვნათ შესაფერისი მეთოდები, მოქმედების საშუალებები, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებს ორივეს ინტერესი დაეკმაყოფილებინა. ორივე მხარეს უნდა განეხილა თანამშრომლობის მეთოდები. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მხარეების ინტერესები რეგიონალური კონფლიქტის მიმართ და დიპლომატიური საუბრები ისე წარმართულიყო. ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის ტენდენციები, რომლებიც წარმოიშვა კონფლიქტში მონაწილე მხარეების დაზავებისა და პრობლემების პოლიტიკურად მოგვარებისასაც. ამაში

[55] Office of the historian; Memorandum of Conversation; Vice President's General Secretary Gorbachev Breakfast, Soviet Embassy; Washington, December 10, 1987, 9:30–10:15 a.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d113.

რეგიონალური ორგანიზაციებიც იღებდნენ მონაწილეობას. შუა აღმოსავლეთში კონ-ფლიქტი მეტად მწვავე იყო და საჭირო იყო შეხვედრის ორგანიზება, თუმცა აშშ-ში ამასთან დაკავშირებით ეჭვები ჰქონდათ. კარგი იქნებოდა თუ ისრაელი შეხვდებოდა არაბეთს, ვისთან ერთადაც მოისურვებდა. ამ შეხვედრის ჩარჩოებში შეიძლებოდა ორმხრივი კონტაქტის დამყარება.[56] მხარეები თითქმის მივიდნენ რეგიონალურ საკით-ხებზე ერთობლივ შეთანხმებამდე, თუმცა ამ საკითხებზე პრაქტიკული გამოსავალი სჭირდებოდათ. საბჭოთა მხარეს ეჭვები ჰქონდა გაეროს ძალების ნდობის თაობაზე, ასევე ჰქონდა ირანელ ხალხთან ურთიერთობის გამოცდილება და იცოდა თუ მათ ზედმეტად მიაწვებოდნენ, ათვეთქება მოხდებოდა და ერთადერთი გამოსავალი აშშ-ს მიერ ძალების გამოყენება იქნებოდა. ერაყი 598-ე პრეზუმციას დაეთანხმა, თუმცა ირანმა განსხვავებული სტრატეგია აირჩია. გაეროს გენერალური მდივანი მეტად გულ-დაწყვეტილი იყო ამ ფაქტით. საჭირო იყო მეორე რეზოლუციაზე მუშაობის დაწყება და ამისთვის სამიტი შესაფერისი დრო და ადგილი იყო. მეორე რეზოლუციის შემუშავება ორი მიზეზით იყო განპირობებული – ერთი რომ დახმარებოდნენ გაეროს გენერალურ მდივანს ირან-ერაყის საკითხის მოგვარებაში, ხოლო მეორე, რომ ირანისათვის არ მიეცათ საშუალება არასერიოზულად ყოფილიყო განწყობილი გაეროს და მისი მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. მეორეს მხრივ, ირანი საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა, მისი გაღიზიანება და მასთან ურთიერთობის გაფუჭება არ შედიოდა სსრკ-ს ინტერესებში, ამიტომ მოვლენების ასეთი სახით განვითარება მისთვის მომგებიანი არ იქნებოდა.

რაც შეეხება ავღანეთს, სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული საერთო ხელშეკ-რულება ასახავდა მათ პოზიციას ავღანეთთან დაკავშირებით. ორივე მხარეს ერთობ-ლივად უნდა ემუშავა. ერთობლივ შეთანხმებას უნდა აესახა ის, რომ მხარეებმა ზედმი-წევნით განიხილეს რეგიონალური პრობლემები, როგორიცაა აფრიკა, შუა აღმო-სავლეთი, ლათინური ამერიკა და აზია. ორივე მხარე ავლენდა რეგიონული კონფ-

[56] Office of the historian; Memorandum of Conversation; The President's Meeting with Gorbachev, December 10 Noon; Washington, December 10, 1987, noon–12:15 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d114.

ლიქტების მოგვარების რეალურ სურვილს. იმისათვის, რომ ავღანეთში სიტუაცია დაწ-ყნარებულიყო, ორივე მხარეს თავისი წილი ვალდებულება უნდა აეღო. საბჭოთა ძალების გაწვევა პირდაპირ კავშირში იქნებოდა აშშ-ს მიერ მოწინააღმდეგე ძალების მომარაგების შეწყვეტასთან. ავღანეთი ნეიტრალური უნდა გამხდარიყო. თუმცა მოვლენების განსხვავებულად განვითარებაც შესაძლებელი იყო, მაგალითად ასე – საბჭოთა მხარეს გაეწვია ძალები, თუმცა აშშ-ს მოწინააღმდეგე ძალების ფინანსური და სამხედრო მომარაგება არ შეეწყვეტა. ამიტომ გაწვევა-ჩაურევლობის პოლიტიკა იყო საჭირო. ორივე მხარე ეთანხმებოდა ჟენევის შეთანხმებებს. ეს შეთანხმებები მოიცავდა ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა საგარეო მხარდაჭერა. შეთანხმებების თანახმად, ხელმოწერის შემდეგ დაიწყებოდა ძალების გაწვევა, ხოლო ამ დროიდან 60 დღის შემდეგ აშშ შეწყვეტდა მათ მომარაგებას. შეთანხმება შედგა.[57]

1987 წლის 7-10 დეკემბრის ვაშინგტონის სამიტი დასრულდა საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებით. აშშ-ს მხრიდან პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და სსრკ-ს მხრიდან მიხეილ გორბაჩოვმა 1987 წლის 8 დეკემბერს 1:45 წუთზე ხელი მოაწერეს დოკუმენტს. ეს იყო ცივი ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების საერთაშორისო, დიპლომატიურ ურთიერთობებში. ბირთვული რაკეტების აღმოფხვრის შესახებ მიღწეული კონსესური არ იყო მნიშვნელოვანი მხოლოდ ორი, ხელმომწერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი აქტი, არამედ ეს წარმოადგენდა მსოფლიოში მშვიდობიანი ცხოვრებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტიას.

§2.3. ვაშინგტონის სამიტის შემდგომი პერიოდი

ვაშინგტონის სამიტის შემდეგ, შეერთებული შტატების მედიამ და გავლენის პროგრამებმა მიზანში ამოიღეს საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპა. გორბაჩოვის საჯაროობის პოლიტიკამ შექმნა ახალი გარემო, საბჭოთა კავშირში წაახალისა თა-

[57] Office of the historian; Memorandum of Conversation; Working Luncheon with General Secretary Mikhail Gorbachev (U); Washington, December 10, 1987, 12:40–2:10 p.m.; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d115.

ვისუფალი ინფორმაციის შედინება და ასევე ძირითად შიდასახელმწიფოებრივ საკითხებზე დებატების ზრდა. აშშ ცდილობდა, გამოეყენებინა ეს ახალი გარემო და ამის ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საბჭოთა დისიდენტური ჟურნალის ,,გლასნოსტის" გამოცემა, რომელიც იბეჭდებოდა ყოველთვიურად მოსკოვში.[58]

ვაშინგტონის სამიტზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ საერთო ქმედებებზე ავღანეთთან, ნიკარაგუასა და „სპარსეთის ყურესთან" დაკავშირებით. ირანი განაგრძობდა თამაშს. ეს იყო მათი მხრიდან დადგმული სცენარი და სსრკ-მ ეს იცოდა. აშშ უბიძგებდა საბჭოთა კავშირს მიეღოთ ახალი რეზოლუცია და ეს მეორე რეზოლუცია ყოფილიყო საჯარო. შეერთებულ შტატებში ფიქრობდნენ, რომ უშიშროების საბჭოს სხვა წევრებიც იგივენაირად უნდა მოქცეულიყვნენ. სსრკ თავის მხრივ, ცდილობდა აშშ აეძულებინა გამოეყენებინა გაეროს ძალები „სპარსეთის ყურეში".

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს სტრატეგიული შეიარაღების შესახებ საკითხების გარშემო. შეთანხმებულ იქნა ხელშეკრულების ფორმატი და მის მიღებამდე ძალიან ცოტაღა რჩებოდა. ფართო დისკუსიები გაიმართა დათვლის წესთან დაკავშირებით. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი, რადგან ამას უნდა მიეცა მხარეებისათვის ცენტრალური რიცხობრივი ლიმიტი. ქვეყნები შეთანხმდნენ დათვლის წესებზე ყველა ბალისტიკურ რაკეტასთან დაკავშირებით. რეიკიავიკში მიღწეულ ბომბდამშენების დათვლის წესებთან ერთად, ეს იყო მნიშვნელოვანი წინსვლა. ასევე შეეხნენ საჰაერო საკრუიზო რაკეტების დათვლასაც, თუმცა რაიმე კონკრეტული ამ საკითხის გარშემო არ გადაწყვეტილა.

განხილულ იქნა ენა, რომელიც ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებას ეხებოდა. მისი ფორმულირება აისახა ერთობლივ შეთანხმებაში. ეს ფორმულირება ამბობდა, რომ მხარეებს შეეძლოთ ეწარმოებინათ კვლევა და ტეტსირება მოთხოვნის შესაბამისად. მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების 10 წლიან ვადაზე, რომლის განმავლობაშიც არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა უფლება გამოსულიყო შეთანხმები-

[58] Office of the historian; Minutes of a National Security Planning Group Meeting; Covert Action Update; Washington, December 15, 1987, 2–2:45 p.m; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d116.

დან, ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ორივე მხარეს ეძლეოდა შესაძლებლობა აერჩია ის კურსი, რომელის მას თავად სურდა.[59] აშშ-ს მხარე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი ყოფილიყო შეთანხმებული 1988 წლის მაისში მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტამდე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება არ დაიცავდა აშშ-ს და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების ინტერესებს მის რატიფიცირებას აშშ არ დათანხმდებოდა.

რეიკიავიკის ეფექტი ამერიკელებმა ძალიან კარგად გამოიყენეს. პრინციპების ერთგულებამ და გადაწყვეტილებების მიმართ მზაობამ შესაბამისი შედეგი გამოიღო. ამერიკელებს შეთანხმება სსრკ-სთან შიდა პოლიტიკისათვისაც, მოახლოებული არჩევნებისთვისაც სჭირდებოდათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ამის გარეშე ვერ გადავიდოდნენ სტარტზე. ვაშინგტონის სამიტზე, შეხვედრებისას განხილული ძირითადი თემების 90% იყო განიარაღების პრობლემები და საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების შესახებ შეთანხმება. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეთანხმებას 1987 წლის 8 დეკემბერს მოაწერეს ხელი გორბაჩოვმა და რეიგანმა, მაგრამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე საჭირო იყო მისი რატიფიცირება. აშშ-ს მხარეს ჰქონდა დაახლოებით 6 თვე იმისათვის, რომ თვალი ედევნებინა სსრკ-ში მიმ-დინარე რეფორმებისათვის და დარწმუნებულიყო ხელშეკრულების რატიფიცირების აუცილებლობაში. მომდევნო 6 თვის მანძილზე აშშ-ს უნდა გაეთვალისწინებინა მოს-კოვის არამყარი პოლიტიკური სცენარი, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოზიცია კრემლის პოლიტიკის მიმართ. აშშ იღებდა ანგარიშებს მოსკოველი ჟურნა-ლისტებისაგან, რომლებიც სრულად ემთხვეოდა ცნობებსა და ხალხში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გორბაჩოვი მზად იყო რადიკალური, სისტემური და პოლიტიკური რეფორმებისათვის.[60] არანაირი მიზეზი აშშ-ს არ ჰქონდა, რომ რატიფიცირების

[59] Telegram: Secretary's 12/11 NAC Briefing on Washington Summit; December 12, 1987; The INF Treaty and the Washington Summit: 20 Years Later; National Security Archive Electronic Briefing Book No. 238; https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB238/index.htm?fbclid=IwAR1SfEGTmiiMnaoI7TIZk8Y4SGgjpwh4bKqwTKeqafxi73A-BhHNMrYgkCc.

[60] Memorandum From Fritz Ermarth of the National Security Council Staff to the President's Assistant for National Security Affairs (Powell); Gorbachev, Ligachev, and Implications for Us; Washington, January 4, 1988; https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/d117.

წინააღმდეგ მიეცა ხმა. პირიქით 1988 წლის მაისი-ივნისში სამომავლოდ დაგეგმილ მოსკოვის სამიტზე ხელშეკრულების რატიფიცირება აშშ-ს უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა, ვინაიდან აშშ-ს ინტერესებში შედიოდა შეთანხმების მიღწევა სტრატეგიული შეიარაღების საკითხები გარშემო, ხოლო საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების აღმოფხვრის შესახებ ხელშეკრულება კი მის წინაპირობას წარმოადგენდა. რთული საშინაო პოლიტიკა გორბაჩოვს ბიძგს აძლევდა მიეღწია იოლი წარმატებისთვის საგარეო პოლიტიკაში, რაც საბოლოო ჯამში მიიყვანდა მას სტარტის შეთანხმებამდეც.

1988 წლის 29 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსკოვის სამიტი. აშშ-ს პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და სსრკ-ს გენერალური მდივანი მიხეილ გორბა-ჩოვი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ. სამიტზე საბოლოოდ დასრულ-და საშუალო და მოკლე რადიუსზე მოქმედი ბირთვული რატეკების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებაზე მუშაობა და ხელშეკრულება ძალაში შევიდა, რასაც წინ უძღოდა მაისში აშშ-ს კონგრესის მიერ მისი რატიფიცირება. მიღწეული შეთანხმება იყო უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც უზრუნველყო მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს არსებობა მსოფლიოში. ეს შეთანხმება ნამდვილად იყო პროგრესული ნაბიჯი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, რომელმაც გაგრძელება ჰპოვა შემდგომ პერიოდებშიც.

დღესდღეობით შესაძლოა ვითარება შეიცვალოს და მსოფლიო კვლავ აღმოჩნ-დეს ბირთვული საფრთხის წინაშე. ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ რამდენჯერმე და-ადანაშაულა რუსეთი საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვი-დაციის შესახებ ხელშეკრულების დარღვევაში, თუმცა საქმე ხელშეკრულების შეწყვე-ტამდე არ მისულა. მას შემდეგ რაც 2017 წელს იანვარში აშშ-ს პრეზიდენტი გახდა დო-ნალდ ტრამპი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა გახდა ბევრად უფრო ხისტი და ქმედითი. 2018 წლის დეკემბერში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ბრიუსელში ნატოს მინისტერიალზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ბირთვული შეთან-ხმებიდან (INF) გამოსვლას 60 დღეში დაიწყებდა თუ ამ პერიოდში რუსეთი ხელ-

შეკრულების პირობების დაცვას არ განაახლებდა. რუსეთმა სახმელეთო ფრთოსანი "SSC-8 ტიპის რაკეტების რამდენიმე ბატალიონის" დისლოცირება მოახდინა, რომ-ლებსაც ბირთვული ქობინების გასროლა შეუძლია. INF-ის ხელშეკრულება ამ სახის იარაღის შემუშავებას კრძალავს, შესაბამისად ამერიკამ რუსეთი ხელშეკრულების დარ-ღვევაში დაადანაშაულა და წაუყენა პირობა 60 დღის განმავლობაში აღედგინა ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ხელშეკრულების დატოვების შესაძლებ-ლობა პრეზიდენტმა ტრამპმაც დაადასტურა და განაცხადა, რომ რუსეთი დიდი ხანია არღვევს შეთანხმებას და აშშ-ს ამ ხელშეკრულებაზე უარი დიდი ხნის წინ უნდა ეთქვა. რუსეთმა ბრალდება უარყო. პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მას შემდეგ დაიწყებდა საშუალო რადიუსის ბირთვული ბალისტიკური რაკეტების აშენებას, რაც შეერთებული შტატები დატოვებდა ბირთვულ ხელშეკრულებას. რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ხელშეკრულებიდან აშშ-ის გასვლა მსოფლიოს უფრო სახიფათოს გახდიდა და მოსკოვს აიძულებდა გადაედგა ნაბიჯები ძალთა ბალანსის აღსადგენად. ვინაიდან რუსეთმა მიცემული 60 დღიანი ვადის განმავლობაში არაფერი მოიმოქმედა შეერთებული შტატები გამოვიდა ცივი ომის დროს 1987 წელს ხელმოწერილი, საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ (INF) ხელშეკრულებიდან. გადაწყვეტილება 2019 წლის 2 თებერვლიდან ამოქმედდა. ამის მიზეზი გახდა რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების მრავლჯერ დარღვევა და შეთანხმებით აკრძალული შორი რადიუსის ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღება. აშშ-მა არაერთხელ გააააფრთხილა რუსეთი, რომ გამოვიდოდა ხელშეკრულებიდან, თუ მოსკოვი არ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და არ შეწყვეტდა 500-დან 5500-მდე კილომეტრის რადიუსის ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტების წარმოებას, გამოცდას და ხმელეთზე განთავსებას.

დონალდ ტრამპი მზად არის გააძლიეროს აშშ-ს ბირთვული პოტენციალი. „ამერიკა გაზრდის თავის ბირთვულ არსენალს, სანამ რუსეთი, ჩინეთი, ან მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა არ მიხვდება, რომ შეუძლებელია დაუსჯელად ემუქრებოდნენ ჩვენი, ან ჩვენი მოკავში-რეების უსაფრთხოებას" – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას პრეზიდენტმა ტრამპმა. დღეისათვის ბირთვული იარაღის მოდერნიზება, გაძლიერება პენტაგონის მთავარი პრიორი-

ტეტია. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ბირთვული დოქტრინა 4 არადემოკრატიული სახელმწიფოს (ჩრდ. კორეა, ჩინეთი, ირანი, რუსეთის ფედერაცია) სახიფათო ქმედებების აღ-კვეთას ემსახურება. შეერთბული შტატების პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ათწლეულების გან-მავლოვაში ვაშინგტონის წინააღმდეგობის მიუხედავად ამ სახელმწიფოებმა თავდაცვის სტრა-ტეგიაში ბირთვული იარაღის როლი მაინც გაზარდეს, ამიტომაც დღეს ამერიკა მზად არის სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით საკუთარი ბირთვული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება მოახდინოს. მოვლენების ამგვარმა მსვლელობამ შესაძლოა მსოფლიო კვლავ დააყენოს ბირთვული საფრთხის პირისპირ.

დასკვნა

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობებში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული უმნიშვნელოვანესი როლი ეკავა განიარაღების საკითხს. მეტად მნიშვნელოვანი როლი აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ითამაშა კარიბის კრიზისმა, როდესაც აშშ-ის ხელისუფლების მტკიცე პოზიციის შედეგად, აღკვეთილ იქნა საბჭოთა კავშირის აგრესიული ზრახვები განთავსებულიყო საბჭოთა რაკეტები კუბის ტერიტორიაზე. სწორედ კარიბის კრიზისიდან იღებს სათავეს ბირთვული, ქიმიური იარაღის წარმოება, გავრცელება, გამოყენების პრობლემა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აღმოსავლეთთან დაძაბულობის შემცირების მიზნით არ იშურებდა თავის ძალისხმევას. მიმდინარეოდა ოთხმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე სტრატეგიული შეიარაღების შემცირების და ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით, თუმცა რაიმე კონკრეტული შედეგი ამ მცდელობებს არ მოჰყოლია, მანამ სანამ 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვი არ მოვიდა. ამ მოვლენამ დასაბამი მიეცა სსრკ-აშშ-ის შორის საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების ახალ ეტაპს.

რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან და წინგადადგმულ ნაბიჯს ცივი ომის მტკივნეული პროცესის დასრულების ურთულეს გზაზე. რეიკიავიკის სამიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და საბჭოთა კავშირსაც ბირთვული შეიარაღების შემცირების საკითხებში ერთნანეთის მიდგომებთან დაკავშირებით შეექმნათ მკაფიო წარმოდგენა. ეს პროცესი ორივე ლიდერისთვის ატარებდა პრინციპულ ხასიათს. ამ ფაქტს ერთხმად აღნიშნავს ცივის ომისა და მისი დასასრულის ყველა მკვლევარი. ხოლო ვაშინგტონის სამიტზე კი ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მოკლე და საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რამაც ფაქტობრივად დაასრულა ცივი ომის ურთულესი პერიოდი.

რეიგანს ჰქონდა სურვილი, ისტორიაში შესულიყო მშვიდომისმყოფელი პრეზიდენტის სახელით, რომელმაც შესაძლებელი გახადა ისეთი მსოფლიოს არსებობა, რო-

მელშიც არ იქნებოდა ბირთვული იარაღი. მას, ბუნებრივია, ისიც სურდა, რომ შეიარაღების გარკვეულ კომპონენტებში შემცირებულიყო საბჭოთა კავშირის უპირატესობა.

გორბაჩოვს ამოძრავებდა უფრო პრაგმატული მიზნები. ცხადია, „პერესტროიკის“ მტკივნეულ პროცესში მყოფი ქვეყნისთვის გამალებულ შეიარაღებაზე ფინანსების ხარჯვა მოასწავებდა გარდაუვალ კრიზისს. ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობა უიმედოდ გამოიყურებოდა, რადგან კოლოსალურ ფინანსურ დანახარჯებთან ასოცირდებოდა არა მხოლოდ ბირთვული არსენალის ზრდა, არამედ არსებული შეიარაღების შენახვაც, ამიტომაც ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა მოლაპარაკებების წარმართვა განიარაღების საკითხების გარშემო.

რეიკიავიკისა და ვაშინგტონის შეხვედრების ამსახველი დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის შემდეგ ჩვენს წინაშე დადგა ამოცანა, გავარკვიოთ სამიტების მთავარი შედეგი. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრა წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის ძირითად პრობლემას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ ისტორიულ და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით მივედით დასკვნამდე, რომ როგორც რეიკიავიკის, ასევე ვაშინგტონის სამიტი უდაოდ წარმოადგენდა XX ს-ის 80-90-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში. ვაშინგტონის სამიტზე მიღწეული შეთანხმება საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1987 წლის 8 დეკემბერს, გახდა მსოფლიოში მშვიდობიანი ცხოვრების გარანტია, გარანტია იმისა, რომ მსოფლიო მოსახლეობა არ აღმოჩნდებოდა ბირთვული კატასტროფის პირისპირ, როგორც ეს მოხდა ჩერნობილის შემთხვევაში. უნდა ითქვას, რომ მიღწეული შეთანხმება ძალაში იყო 2019 წლამდე და მხარეები მეტნაკლებად ასრულებდნენ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, 2019 წლის 2 თებერვალს კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა ხელშეკრულება, იმ არგუმენტით, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია შეთანხმება და რომ რუსეთი აწარმოებს ახალ ბირთვულ იარაღს, ამერიკა კი არ აპირებს უმოქმედოდ ყოფნას. დღეს

მსოფლიოში გამოიკვეთა 5 სახელმწიფო (რუსეთი, აშშ, ირანი, ჩინეთი და ჩრდ. კორეა), რომელიც სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავის ბირთვულ პოტენციალს. სწორედ ამიტომ დღეს ისევ არსებობს შანსი მსოფლიო დადგეს ბირთვული საფრთხის წინაშე.

რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტების კვლევა წარმოდგენილი ნაშრომით არ შემოიფარგლება. მომავალში ვაპირებთ შევისწავლოთ მოსკოვის სამიტი და დღეს თანამედროვე მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ბირთვული შეიარაღების საკითხების ირგვლივ. ბუნებრივია, წინაისტორიად გვესახება სწორედ განხილული მოლაპარაკებების პროცესი. მომდევნო კვლევა იქნება ჩვენი ნაშრომის ლოგიკური გაგრძელება, რაც მეტ სიცხადეს შეიტანს ცივი ომის დასასრულის სამიტების ირგვლივ არსებულ კონტექსტში.

უნდა აღნინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს დეტალურად განხილული წყაროები, რომლებიც წარმოადგენს აშშ ეროვნული უშიშროების არქივში დაცულ დოკუმენტებს. ნაშრომი დაწერილია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ისინი ბოლო დრომდე გასაიდუმლოებული იყო და ბუნებრივია, მათი შესწავლა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში განხილული დოკუმენტები დიდი ხნის განმავლობაში ხელმიუწვდომელი იყო საკითხით დაინტერესებული მკვლევართათვის. სწორედ ამ ობიექტური მიზეზის გამო ისინი შეუსწავლელია ქართულ ისტორიოგრაფიაში. დოკუმენტების დიდი ნაწილი ჯერაც არ შეუსწავლიათ ევროპელ და ამერიკელ ისტორიკოსებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა გვესახება მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად. ამასთან, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ ნაშრომს შესაძლოა ჰქონდეს ფართო გამოყენების სფერო. ჩვენი მოკრძალებული აზრით, იგი სასარგებლო იქნება ცივი ომის ფინალური ეტაპის პრობლემებით დაინტერესებული ისტორიკოსებისთვის. მას ასევე გამოიყენებენ პოლიტოლოგები, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები და სტუდენტები, რომლებიც შეისწავლიან ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლეს ისტორიასა და ცივი ომის საკითხებს. იმედს ვიტოვებთ, რომ ნაშრომში განხილული პირველწყარო-

დოკუმენტები გამოადგებათ ქართველ დიპლომატებსაც, რომელებიც მოღვაწეობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში. წინამდებარე ნაშრომი ასევე საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მკით-ხველისათვის.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

დოკუმენტები:[61]

- "Lessons of Reykjavik." U.S. Department of State. October 12, 1986.
- Anatoly Chernyaev. Notes from Politburo Session. November 13, 1986.
- Anatoly Chernyaev. Notes from Politburo Session. October 30, 1986.
- Anatoly Chernyaev's Notes. Gorbachev Conversations with Assistants. September 29, 1986.
- National Security Decision Directive Number 250 "Post-Reykjavik Follow-Up". November 3, 1986.
- Office From the President's Assistant for National Security Affairs (Carlucci) to President Reagan; Washington, April 6, 1987;
- Office of the historian; Electronic Message From Fritz Ermarth of the National Security Council Staff to Sandra Kelly of the National Security Council Staff; Washington, April 7, 1987, 3:09 p.m.
- Office of the historian; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986;
- Office of the historian; Letter From President Reagan to Soviet General Secretary Gorbachev; Washington, April 10, 1987;
- Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986.
- Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986.
- Office of the historian; Memorandum for the Record; ICELAND CHRONOLOGY; Washington, October 18, 1986;
- Office of the historian; Memorandum From Director of Central Intelligence Webster to President Reagan; Washington, November 24, 1987;

[61] რეიკიავიკის სამიტთან დაკავშირებული დოკუმენტები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული უშიშროების არქივის ელექტრონულ საცნობარო წიგნში #203 შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB203/index.htm.
ვაშინგტონის სამიტთან დაკავშირებული დოკუმენტები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული უშიშროების არქივის ელექტრონულ საცნობარო წიგნში #238 შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB238/index.htm?fbclid=IwAR3e9_lMZwZiUGCxgzuxQp8V5dzb1oDKdijchxgMxXItcNuTa-qzDPCLQUM
რეიკიავიკისა და ვაშინგტონის სამიტების დოკუმენტური მასალა შეგიძლიათ იხილოთ ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v06/comp1.

- Office of the historian; Memorandum From Fritz Ermarth of the National Security Council Staff to the President's Assistant for National Security Affairs (Powell); Gorbachev, Ligachev, and Implications for Us; Washington, January 4, 1988;
- Office of the historian; Memorandum From Secretary of State Shultz to President Reagan; Washington, November 14,1986;
- Office of the historian; Memorandum From the President's Assistant for National Security Affairs (Poindexter) to Secretary of State Shultz; Washington, November 3, 1986;
- Office of the historian; Memorandum of Conversation. Reagan-Gorbachev Meeting in Reykjavik. First Meeting. October 11, 1986
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Meeting between the Secretary and Shevardnadze; Vienna, November 5, 1986, 3:55–6:55 p.m. and 7:05–7:15 p.m.
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Meeting with General Secretary Mikhail Gorbachev of the USSR (U); Washington, December 8, 1987, 10:45 a.m.–12:30 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Moscow, April 13, 1987, 11:30 a.m.-1:25 p.m.
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Moscow, April 13, 1987, 11:30 a.m.-1:25 p.m.
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Organizational matters, INF, summit planning; Geneva, November 23, 1987, 10:15 a.m.–1:50 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; President's Meeting with Gorbachev, December 8 Afternoon; Washington, December 8, 1987, 2:30–3:15 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary Shultz's Meeting with Foreign Minister Shevardnadze; Vienna, November 6, 1986, 8:05–9:40 a.m.
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Meeting with Chairman of the Council of Ministers Ryzhkov ; Moscow, Tuesday, April 14;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Meeting with Chairman of the Council of Ministers Ryzhkov ; Moscow, Tuesday, April 14
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Third Plenary Meeting with Shevardnadze; Moscow, April 14, 1987, 9:35–11:55 p.m;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Secretary's Third Plenary Meeting with Shevardnadze; Moscow, April 14, 1987, 9:35–11:55 p.m;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meetings; Moscow, April 13, 1987
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, November 24 Afternoon; Geneva, November 24, 1987, 4:15–4:55 p.m.;

- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting,; Geneva, November 24, 1987, 5:05–5:40 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting December 7 Evening; Washington, December 7, 1987, 6:30–7:15 p.m;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, December 9 Afternoon; Washington, December 9, 1987, 4:15–5:50 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting, December 9 Afternoon; Washington, December 9, 1987, 4:15–5:50 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Shultz-Shevardnadze Meeting; Washington, December 10, 1987, 8–9 a.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Summit schedule, INF ; Geneva, November 24, 1987, 10:20 a.m.–1:05 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; The President's Meeting with Gorbachev, December 10 Noon; Washington, December 10, 1987, noon–12:15 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; The Secretary's Meeting with Gorbachev; Moscow, April 14, 1987, 3–7:25 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; The Secretary's Meeting with Gorbachev; Moscow, April 14, 1987, 3–7:25 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Vice President's General Secretary Gorbachev Breakfast, Soviet Embassy; Washington, December 10, 1987, 9:30–10:15 a.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Washington, December 9, 1987, 10:55 a.m.–12:35 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Washington, December 9, 1987, 10:55 a.m.–12:35 p.m.;
- Office of the historian; Memorandum of Conversation; Working Luncheon with General Secretary Mikhail Gorbachev (U); Washington, December 10, 1987, 12:40–2:10 p.m.;
- Office of the historian; Memorandum to the President, Secretary of State George Shultz, 2 October 1986, 4 pp.
- Office of the historian; Minutes of a National Security Planning Group Meeting; Covert Action Update; Washington, December 15, 1987, 2–2:45 p.m
- Office of the historian; Telegram From the Embassy in the Soviet Union to the Department of State; Moscow, October 31, 1986;
- Office of the historian; The President's Trip to Reykjavik, Iceland, October 9-12, 1986 – Issues Checklist for the Secretary," U.S. Department of State, 7 October 1986, 23 pp.

- Office of the historian;Memorandum of Conversation. Reagan-Gorbachev Meeting in Reykjavik. Fourth Meeting. October 12, 1986.
- Session of the Politburo of the CC CPSU. October 16, 1986.
- Session of the Politburo of the CC CPSU. October 22, 1986.
- Telegram: Secretary's 12/11 NAC Briefing on Washington Summit; December 12, 1987; The INF Treaty and the Washington Summit: 20 Years Later;
- USSR CC CPSU Politburo session on preparations for Reykjavik, 8 October 1986, 6 pp.
- Письмо М. С. Горбачева Рональду У. Рейгану. 15 Сентября, 1986

მემუარები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- ბრაგვაძე, დავით. ცივი ომის დასასრულის დასაწყისი. ნაშრომი ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერის უფლებით. თბილისი, 2011
- შევარდნაძე, ედუარდ. ფიქრი წარსულსა და მომავალზე. თბილისი, "პალიტრა L", 2006.
- Chernyaev, Anatoly. My Six Years with Gorbachev. University Park, The Pennsylvania State University Press.
- Reagan, Ronald. An American Life. New York, Simon and Schuster, 1990.
- Rhodes, Richard. Arsenals of Folly: Nuclear Weapons in the Cold War. New York: Alfred A. Knopf, 2007.